გიორგი ენუქიძე

უცხოეთის მოქალაქესთან ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემატიკა შედარებითსამართლებრივ ჭრილში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, [გიორგი ენუქიძე]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: გიორგი ენუქიძე

თარიღი : 02.22.2021

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ენუქიძე გიორგის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **უცხოეთის მოქალაქესთან ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემატიკა შედარებითსამართლებრივ ჭრილში** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თარიღი :

რეზიუმე

კაცობრიობის განვითარების და გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ მნიშვნელოვნად შეიცვალა საოჯახო-საქორწინო ურთიერთობები. შესამჩნევი გახდა ამ ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია, რაც, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. შერეული ქორწინებების რიცხვის ზრდაში გამოიხატება. თავის მხრივ, ამან გამოიწვია უცხოური ელემენტით გართულებული ქორწინებების დეტალური სამართლებრივი მოწესრიგების საჭიროება. კანონის მოთხოვნათა დარღვევით რეგისტრირებული ქორწინებები პრობლემებს ქმნის განქორწინების, მემკვიდრეობისა და სხვა ურთიერთობებთან დაკავშირებით. ეს განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნების საქორწინო კანონმდებლობის ცოდნისა და სწორად გაგების აუცილებლობას. ამასთან ერთად, უცხოეთის საქორწინო ურთიერთობები მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმებსაც. ქორწინების მარეგულირებელი მატერიალური და კოლიზიური კანონმდებლობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამის განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაა: სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე; მისი დემოგრაფიული მდგომარეობა; ეროვნული, ყოფითი, რელიგიური თავისებურებები და ტრადიციები. ამავდროულად, ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმების უნიფიკაცია/ჰარმონიზაცია საკმაოდ რთული პროცესია და ნელა მიმდინარეობს. ზემოაღნიშნული გარემოებები განაპირობებს საერთშორისო კერძო სამართლის როლის ზრდას. ამდენად, უცხოური ელემენტით კონკრეტული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისათვის უნდა გაირკვეს, რომელი სახელმწიფოს სამართალს ექვემდებარება ეს სამართალურთიერთობა. მოცემული ნაშრომი შეისწავლის აღნიშნულ საკითხს.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს, ასევე გერმანიისა და აშშ-ს როგორც მატერიალური ისე კოლიზიური კანონმდებლობა ქორწინებასთან დაკავშირებით. ყურადღებაა გამახვილებული ქორწინების როგორც კერძოსამართლებრივ, ასევე კონსტიტუციურსამართლებრივ ასპექტებზე. შესწავლილია ქორწინების ინსტიტუტი, ქორწინების წარმოშობის საფუძვლები, პირობები, ფორმა, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, მათ შორის, უცხოური ელემენტის მონაწილეობისას. მიმოხილულია ევროპის კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები. წარმოჩენილია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა - აღნიშნული კანონის 44-ე მუხლის უფრო ნათლად და არაორაზროვნად ჩამოყალიბების საჭიროება. ნაშრომში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების განვითარება განაპირობებს სამართლებრივი ნორმების თანამედროვე რეალობასთან მისადაგების აუცილებლობას. ამჟამად სულ უფრო მეტ ქვეყნებში ხდება ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების

დაშვება. შესაბამისად, დაუშვებელია საქართველოში ასეთი პირების უფლებების იგნორირება. მოცემულ საკითხს ასევე ყურადღება ეთმობა წინამდებარე ნაშრომში.

Abstract

In the wake of the process of human development and globalization, family-marriage relations have changed significantly. The tendency of internationalization of these relations has become noticeable, which, first of all, manifested in an increase in the number of the so-called mixed marriages. This, in turn, has led to the need for detailed legal regulation of marriages complicated by a foreign element. Marriages registered in violation of the law create problems with divorce, inheritance and other relationships. This necessitates knowledge and understanding of marriage law in different countries. In addition, foreign marital relations are closely linked to private international legal norms. The material and collisional laws governing marriage are very diverse. Among the factors determining this are: the level of economic development of the state; Its demographic status; National, religious peculiarities and traditions. At the same time, the unification / harmonization of the norms regulating this field is quite a difficult and slow process. The above circumstances lead to an increase in the role of private international law. Thus, for the origin, change or termination of a particular family-legal relationship with a foreign element, it must be ascertained which state is subject to that legal relationship. This paper examines that issue.

This paper analyzes the material and collisional legislation of Georgia, as well as Germany and the United States regarding marriage. The focus is on both the private and constitutional aspects of marriage. The institution of marriage, the basics of the origin of marriage, the conditions, the form, the impediments to marriage, including the participation of a foreign element, is studied. European legislation and international conventions are reviewed. A need for amendments to the national law, in particular the Act of Private International Law is shown. In particular, the need for a clearer and more unambiguous wording of Article 44 of this act. The paper emphasizes the fact that the development of family-marriage relations necessitates the adaptation of legal norms to the modern reality. Same-sex marriages are now allowed in more and more countries. Therefore, it is inadmissible to ignore the rights of such persons in Georgia. This issue is also addressed in the present paper.

შინაარსი

შესავალი 8

ლიტერატურის მიმოხილვა 13

2. უცხოელთან საქორწინო ურთიერთობების განსაზღვრა..... 14

2.1. შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართლის პრინციპები და წყაროები 14

2.2. ქორწინება უცხოური ელემენტით საერთაშორისო კერძო სამართალში და მასთან დაკავშირებული კოლიზია 17

3. ქორწინების მოწესრიგება საქართველოს სამართალში 23

3.1. ქორწინების კერძო სამართლებრივი და კონსტიტუციურ სამართლებრივი გაგება..... 23

3.2. ქორწინების წარმოშობის საფუძვლები. საზღვარგარეთ გაფორმებული ქორწინების ცნობა 28

4. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები 38

4.1. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ქართულ სამართალში 38

4.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები უცხოური ელემენტის მონაწილეობით..... 41

5. ქორწინება გერმანულ სამართალში..... 45

5.1. ქორწინების არსი და სპეციფიკა გერმანულ სამართალში..... 45

5.2. ქორწინების წარმოშობის საფუძვლები გერმანიაში 47

5.3. უცხოური ელემენტი ქორწინებაში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით..... 48

6. ქორწინების ინსტიტუტი აშშ-ში..... 53

6.1. ქორწინების ინსტიტუტის არსი და სპეციფიკა აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით..... 53

6.2. ქორწინების პირობები და ფორმა აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით 55

6.3 უცხოური ელემენტი ქორწინებაში აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით 57

7. ქორწინების ინსტიტუტი ევროკავშირისა და საერთაშორისო კონვენციებში 59

7.1. ქორწინება ევროპის კანონმდებლობაში 59

დასკვნა 65

გამოყენებული ლიტერატურა 67

შესავალი

ქორწინება კაცობრიობის ისტორიაში არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და უძველესი კერძოსამართლებრივი ურთიერთობა.[1] ამასთან ერთად, იგი წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ არსებით უფლებას, თავისი ნებით შექმნას ოჯახი. მოცემული ინსტიტუტის განვითარება სხვადასხვა სახელმწიფოებსა თუ ცივილიზაციებში ერთმანეთისაგან განსხვავებულად მიმდინარეობდა. ამჟამად ხდება საერთაშორისო საზოგადოების ინტეგრაცია და ამ პროცესში საქართველოც აქტიურადაა ჩართული.

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ფლობდნენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეეძლოთ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრება. 2017 წლამდე კი ვიზით ან ვიზის გარეშე - უკანონოდ, საქართველოდან სამუშაოდ თუ სასწავლებლად ბევრი მიემგზავრებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. უვიზო რეჟიმმა კი საქართველოდან გადინება კიდევ უფრო გაზარდა. ამას ხელი შეუწყო ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, გერმანიის, პორტუგალიის ხელისუფლების განცხადებებმა, რომ ისინი შეიმუშავებენ გარკვეული პროფესიის საქართველოს მოქალაქეებისათვის სამუშაო მიწვევის საკითხებს.

გარდა საქართველოდან გასვლისა, ბოლო წლებში ძალიან მოიმატა ტურისტების რაოდენობამაც საქართველოში. ამასთან ერთად, საქართველოში სხვადასხვა საქმიანობას ეწევა საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები.

[1] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 313

ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ თავი იჩინა არა მხოლოდ კომერციულ-საქმიან ურთიერთობებში, არამედ აგრეთვე პირად ურთიერთობებშიც, მათ შორის, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებშიც.

ყოველივე აღნიშნულმა ხელი შეუწყო, ჯერ ერთი, უცხოელების საქართველოში ქორწინების რეგისტრაციას და მეორე, შერეული ქორწინებების ზრდას, როგორც საქართველოში ასევე საზღვრაგარეთ.

ასეთმა ქორწინებებმა ბევრი კითხვა წარმოშვა მათ მოწესრიგებასთან მიმართებაში. არასწორად რეგისტრირებული ქორწინებები პრობლემებს ქმნის განქორწინების, მემკვიდრეობისა და სხვა ურთიერთობებთან დაკავშირებით, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ქვეყნების საქორწინო კანონმდებლობის ცოდნასა და სწორად გაგებას. თავის მხრივ, უცხოეთის საქორწინო ურთიერთობები მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ნორმებსაც.

გარდა კანონმდებლობისა, საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებულია შესაბამისი ქვეყნის ტრადიცია, ჩვეულებები, ცხოვრების წესი და ა.შ. ამიტომაც უცხოელთან ქორწინების თითოეული შემთხვევა საჭიროებს ამ ურთიერთობის სწორად მისადაგებას კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელთან ქორწინების რეგისტრაციის წესი და ფორმა გარკვეულ ინტერესს იწვევს, დღემდე მაინც არ არსებობს რაიმე ნაშრომი, მონოგრაფია ამ საკითხზე, რომელიც კომპლექსურად შეისწავლიდა აღნიშნულ პრობლემას, რაც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება, როგორც ზევით აღინიშნა, ქორწინებისას ქონების საკუთრებაში გადაცემას, რჩენის მოვალეობას, განქორწინებას, ალიმენტს, მემკვიდრეობას და სხვა საკითხებს.

არასწორად დაქორწინება ხელს უწყობს ქორწინების და მასთან დაკავშირებული უფლებების ბოროტად გამოყენებასაც. მაგალითად, ევროპასთან უვიზო რეჟიმმა ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეებთან სხვა ქვეყნის მოქალაქეების ფიქციური ქორწინებების გაზრდას. საქართველოს არაერთი მოქალაქის პირადი გამოცდილებიდან ირკვევა,

რომ მას შემდეგ, რაც თურქეთსა და ევროპას შორის ურთიერთობა დაიძაბა, გახშირდა თურქეთის მოქალაქეების ქართველ ქალებთან გარკვეული თანხის სანაცვლოდ ფიქციური ქორწინების გაფორმების მცდელობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოსახვედრად. ეს სქემა სახიფათოა, რადგან ამ გზით ევროპაში მოხვედრას თურქეთის ის მოქალაქეები ისწრაფვიან, რომლებიც ევროპის ქვეყნებიდან სხვადასხვა დარღვევის გამო დეპორტირებული არიან.[2] თურქეთის გარდა, მსგავს მეთოდს ინდოეთის მოქალაქეებიც მიმართავენ, რადგან ლეგალური საშუალებებით მოცემულ ქვეყნებში ბინადრობისა და დასაქმების უფლების მოპოვება ბევრ სამართლებრივ წინაღობასთანაა დაკავშირებული.[3] საქართველოს მოქალაქეებთან ფიქციური შერეული ქორწინება კომერციულ ინტერესსაც ატარებს. ამით, როგორც თურქეთის ისე ინდოეთის მოქალაქეებს, ეძლევათ საქართველოს მოქალაქეობის უფლების მოპოვების საშუალება, რაც მათ უხსნის ხელ-ფეხს ბინის, ქონების, უპირველესად კი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესაძენად.[4] მოცემული შერეული ქორწინებები როგორც სამართლებრივად ისე მორალურადაა გაუმართლებელი, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სახელმწიფო ინტერესებს.

ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ერთიანი საერთაშორისო აქტის შექმნაც, რომელიც მოახდენდა საერთაშორისო კერძო სამართლის, უფრო ზუსტად კი, საერთაშორისო საქორწინო სამართლის უნიფიცირებას.

ეროვნულ დონეზე საოჯახო სამართალში უცხოელთან ქორწინების და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგებაზე, მათ შორის, შედარებითსამართლებრივ ჭრილში რაიმე სახის ნაშრომი ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება.

---

[2] ფიქტიური ქორწინება ქართველებთან – ევროპაში მოხვედრის მარტივი გზა?, ხელმისაწვდომია, https://georgians.gr/fiqtiuri-qorwineba-qartvelebtan/ [11/04/2017]

[3] ფიქტიური ქორწინება ქართველებთან – ევროპაში მოხვედრის მარტივი გზა?, ხელმისაწვდომია, https://georgians.gr/fiqtiuri-qorwineba-qartvelebtan/ [11/04/2017]

[4] ფიქტიური ქორწინება ქართველებთან – ევროპაში მოხვედრის მარტივი გზა?, ხელმისაწვდომია, https://georgians.gr/fiqtiuri-qorwineba-qartvelebtan/ [11/04/2017]

კვლევის საგანია ქორწინების არსის, დაქორწინების წესისა და ფორმის გარკვევა საერთაშორისო კერძოსამართლებრივ და შედარებითსამართლებრივ ჭრილში.

ნაშრომის მიზანია უცხოეთის მოქალაქესთან ქორწინების სპეციფიკის განხილვა შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და სამართლებრივი რეგულირების შესწავლა, ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზების შეთავაზება.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ოთხ კვლევის მეთოდს. ესენია: შედარებითსამართლებრივი მეთოდი, დესკრიფციუილი მეთოდი, ანალიტიკური მეთოდი და სინთეზური მეთოდი.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, 6 თავისგან, 13 ქვეთავისგან და დასკვნისგან.

ნაშრომის მეორე თავი ეხება უცხოელთან საქორწინო ურთიერთობების გასაზღვრას. განხილულია შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართლის პრინციპები, უცხოური ელემენტის ადგილი საქორწინო ურთიერთობებში და მასთან დაკავშირებული საკოლიზიო ნორმები.

მესამე თავი ეთმობა ქართული კანონმდებლობით ქორწინების მოწესრიგებას, მის კერძო და კონსტიტუციურსამართლებრივ გაგებას, წარმოშობის საფუძვლებსა და საზღვარგარეთ გაფორმებული ქორწინების ცნობის საკითხს.

ნაშრომის მეოთხე თავში თავმოყრილია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ქართული სამართლისა და უცხოური ელემენტის მონაწილეობის მიხედვით.

მეხუთე თავში განხილულია ქორწინების ინსტიტუტი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არსი, წარმოშობის საფუძვლები, სამართლებრივი მოწესრიგება და უცხოურ ელემენტთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

მეექვსე თავი ეხება ქორწინების ინსტიტუტს აშშ-ს კანონმდებლობის მაგალითზე - ქორწინების პირობებს, ფორმას, უცხოურ ელემენტს ქორწინებაში.

მეშვიდე თავი შეისწავლის საქორწინო ურთიერთობებს ევროკავშირისა და საერთაშორისო კონვენციების მიხედვით.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დახმარება გამიწია, ძირითადად, უცხოენოვანმა ლიტერატურამ: ნ. ს. ანცუხის წიგნმა „შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართალი“ (Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, 2015), რომელშიც განხილულია საერთშორისო საოჯახო-სამართლებრივი პრობლემები შედარებით-სამართლებრივ ჭრილში.

ე. ვ. ეროხინას წიგნმა „ევროპული საოჯახო სამართალი“, 2016, (Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, 2016), რომელიშიც გაანალიზებულია საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები.

ბეტი დე ჰარტის სტატიამ „სიყვარულის ევროპეიზაცია. ხელსაყრელი ქორწინებები ევროპულ საიმიგრაციო სამართალში“(Betty de Hart, Research Article, The Europeanization of Love. The Marriage of Convenience in European Migration Law, 2017). მასში წარმოჩენილია ევროკავშირის დირექტივებში ასახული საემიგრაციო პოლიტიკა ოჯახების გაერთიანების პრობლემასთან კავშირში.

ქართულენოვანი ლიტერატურიდან ნაშრომში გამოყენებულია რომან შენგელიასა და ეკატერინე შენგელიას წიგნი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, 2015 რომელშიც გაანალიზებულია საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა.

ქეთევან ერემაძის წიგნი, „ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის“, 2020. მასში განხილულია ქორწინების უფლება კონსტიტუციურსამართლებრივ ჭრილში.

2. უცხოელთან საქორწინო ურთიერთობების განსაზღვრა

ქორწინება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ხშირად განსხვავებულად წესრიგდება, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს არაერთ სირთულეს უცხოეთის მოქალაქესთან ქორწინების დროს. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია უცხოელთან საქორწინო ურთიერთობების განსაზღვრა შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

2.1. შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართლის პრინციპები და წყაროები

საერთაშორისო კერძო სამართალი არის სამართლის დარგი, რომელიც სწავლობს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობების დროს.

საერთაშორისო კერძო სამართალი რთულ, სპეციფიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლის დროსაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები უპირისპირდება ერთმანეთს. მისი ფუნქცია მდგომარეობს კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში.[5] საერთაშორისო კერძო სამართლის ფუნდამენტური მიზანი სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის სამართლებრივი სისტემის ურთიერთაღიარებაში მდგომარეობს.[6]

საერთაშორისო საოჯახო სამართალი არის ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების ერთობლიობა, რომელიც

---

[5] მსხვილიძე თ, უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები საერთაშორისოკერძო სამართალში , ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, N 4 (60), 2018, 140

[6] International Encyclopedia of Comparative Law. Vol III, Private International Law, Chapter 14, Imre Zajtay The Application of Foreign Law, 1972, p.4. მითითებულია მსხვილიძე თ, უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები საერთაშორისოკერძო სამართალში , ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, N 4 (60), 2018, 143

არეგულირებს უცხოური ელემენტით გართულებულ ქორწინებებსა და საოჯახო ურთიერთობებს. მისი შესწავლის საგანს წარმოადგენს ქორწინება უცხოური ელემენტის მონაწილეობით: დაქორწინება და ქორწინების შეწყვეტა; მეუღლეებს, შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები; შვილად აყვანა; მზრუნველობა და მეურვეობა.[7]

შედარებითი საოჯახო სამართალი არის იურიდიული ნორმების სისტემა, რომელთა საშუალებით იდენტიფიცირდება უცხო სახელმწიფოებში ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთობების შედეგად წარმოშიბილი კანონები და ტენდენციები, ასევე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.[8] შედარებითი საოჯახო სამართლის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოებში მსგავსი საოჯახო ურთიერთობების საერთო და განსხვავებული ასპექტები.[9]

შედარებითი და საერთშორისო საოჯახო სამართალი დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე - ზოგადი პრინციპები: ზოგადსაკაცობრიო ინტერესებისა და ღირებულებების პრიორიტეტულობის პრინციპი; ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი; დავების მორიგებით გადაწყვეტის პრინციპი.[10]

სპეციალური პრინციპები: ქორწინებისა და ოჯახის დაცვის პრინციპი; საზღვარგარეთ გაფორმებული ქორწინების ცნობის პრინციპი; ბავშვების ოჯახში აღზრდის პრიორიტეტულობის პრინციპი; ბავშვების, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების სუსტი მხარის, უფლებების დაცვა.[11]

საერთაშორისო და შედარებითი სამართლის წყაროებს წარმოადგენს:

უნივერსალური, რეგიონული, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებებია, მაგალითად: ქორწინებასთან დაკავშირებული კანონთა კოლიზიის

---

[7] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 12

[8] იქვე, 12-13

[9] იქვე, 13

[10] იქვე, 14

[11] იქვე

მოწესრიგების შესახებ 1902 წლის კონვენცია; განქორწინებისა და მეუღლეთა სამართლებრივი განცალკევების მომწესრიგებელი კანონებისა და იურისდიქციის კოლიზიის მარეგულირებელი 1902 წლის კონვენცია; 1905 წლის კონვენცია მეუღლეთა ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების და მათი პირადი ურთიერთობების სფეროში ქორწინების შედეგების მარეგულირებელ კანონთა კოლიზიის შესახებ; 1970 წლის კონვენცია განქორწინებისა და მეუღლეთა სამართლებრივი განცალკევების ცნობის შესახებ; ქორწინების წესისა და ქორწინების ნამდვილად ცნობის შესახებ 1978 წლის კონვენცია; მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ 1978 წლის კონვენცია; ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის კონვენცია.[12]

რეგიონული საერთაშორისო ხელშეკრულებების მაგალითია: ბავშვთა შვილების შესახებ 1967 წლის ევროპული კონვენცია; ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1975 წლის ევროპული კონვენცია; სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ მინსკის კონვენცია.[13]

ეროვნული კანონმდებლობა:

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში განმტკიცებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. აღნიშნული მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. კონსტიტუციის მე-15 მუხლი განამტკიცებს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ

[12] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 15

[13] იქვე

თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნი ეთმობა საოჯახო სამართალს.

საერთშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან, მათ შორის, საოჯახო სამართალთნ დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.

შედარებითი და საერთაშორისო საოჯახო სამართლის წყაროებია აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა; ჩვეულებები.[14]

2.2. ქორწინება უცხოური ელემენტით საერთაშორისო კერძო სამართალში და მასთან დაკავშირებული კოლიზია

პრაქტიკული მნიშვნელობისაა კითხვა - რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობა უნდა იყოს გამოყენებული უცხოური ელემენტით გართულებული საქორწინო ურთიერთობებისას? ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის საოჯახო სამართლის ნორმები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საერთაშორისო კერძო სამართლის ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიკაცია ყველაზე რთულია. საოჯახო ურთიერთობების რეგულირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე; მისი დემოგრაფიული მდგომარეობა; ეროვნული, ყოფითი, რელიგიური თავისებურებები და ტრადიციები. ამდენად, უცხოური ელემენტით კონკრეტული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის,

[14] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 14

შეცვლის ან შეწყვეტისათვის უნდა გაირკვეს რომელი სახელმწიფოს სამართალს ექვემდებარება ეს სამართალურთიერთობა.[15]

სამართალურთიერთობაში უცხოური ელემენტის არსებობისას, მისი კონკრეტული სახელმწიფოს სამართლისადმი კუთვნილება არ არის თვალნათელი, რაც განაპირობებს გამოსაყენებელ სამართალთან დაკავშირებული სპეციფიკური - კოლიზიური სამართალურთიერთობის ჩამოყალიბებას.[16] როდესაც საუბარია კანონთა კოლიზიაზე, (collisio - ლათ. შეჯახება) იგულისხმება მათ შორის არჩევანის გაკეთება საერთაშორისო კერძო სამართალში დავის ან სხვა საკითხის გადასაწყვეტად. ასეთ ნორმებს კოლიზიური ნორმები ეწოდება. ისინი მიუთითებენ, რომელი კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული. კოლიზიური ნორმები ისტორიულად ყოველთვის ქმნიდა საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძველს.[17]

კოლიზიური ნორმა არის სამართლის ნორმის სპეციფიკური სახე და ის მოქმედებს მხოლოდ საერთაშორისო კერძო სამართალში.[18] კოლიზიურ რეგულირებას უცხოური ელემენტით დატვირთულ საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. კოლიზიური ნორმის შინაარსზე არის დამოკიდებული გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი და ამ ურთიერთობის მონაწილეების უფლებამოვალეობათა მოცულობა.[19]

კოლიზიური ნორმა განსაზღვრავს, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული სამართალურთიერთობის მიმართ. კოლიზიურ ნორმას მითითებითი ხასიათი აქვს. ის მხოლოდ უთითებს მატერიალურ ნორმებზე, რომლებიც შესაბამისი საკითხის მოწესრიგებას მოიცავს.[20]

---

[15] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 29

[16] იქვე, 30

[17] იქვე

[18] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 73

[19] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 90

[20] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 31

ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებით გამოსაყენებელი კოლიზიური ნორმები მოიცავს ქორწინების ფორმასთან, ასევე ქორწინების ნამდვილობასთან დაკავშირებულ მოწესრიგებას. მათ შორისაა, საქორწინო ასაკის მიღწევა, ქმედუნარიანობა, დასაქორწინებელ პირთა შორის კონკტერული ხარისხის ნათესაური კავშირის არარსებობა.[21]

საერთაშორისო კერძო სამართალში ცნობილია საკოლიზიო ნორმების იმ ელემენტის, რომელსაც საბამს უწოდებენ, სხვადასხვა ტიპები (სახეები). ზოგჯერ საბამის ამ სახეებს უწოდებენ საკოლიზიო პრინციპებს, მიმაგრების ფორმულას და ა.შ. საკოლიზიო პრინციპი თუ მიმაგრების ფორმულა არის ის, რაც გამოხატულია საკოლიზიო ნორმების საბამში (დისპოზიციაში).[22] კოლიზიური ნორმის საბამი (მიმაგრება) უშუალოდ მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული კოლიზიურ ნორმაში აღწერილი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისათვის. საბამები, ანუ მიმაგრებები კოლიზიურ სამართალში საკმაოდ მრავალფეროვანია და მას დოქტრინაში „მიმაგრების ფორმულები“ ეწოდება.[23]

კოლიზიური საბამები საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების სფეროში შეიძლება პირობითად დავყოთ ტრადიციულ (კლასიკურ) და თანამედროვე საბამებად. კლასიკურია ისეთი საბამები, რომლებმაც გაიარეს დროის გამოცდა და ოდითგანვე გამყარდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში: ფიზიკური პირის პირადი კანონი (Lex personalis), ქორწინების წესის შესრულების ადგილის კანონი (Lex loci celebrationis) და სასამართლოს ქვეყნის კანონი (Lex fori). [24]

თანამედროვე საბამები შედარებით ახლო წარსულში ჩამოყალიბდა საერთაშორისო კერძო სამართალში თანამედროვე ტენდენციების

---

[21] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 31

[22] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,32

[23] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 80

[24] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 14

განვითარების შედეგად და ისინი ყველაზე მეტად ასახავს სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტურ კავშირს რეალობასთან.[25]

ქორწინების გაფორმების მატერიალურ პირობებთან მიმართებით პირადი კანონი საერთაშორისო პრაქტიკაში გახდა ფართოდ აღიარებული მეთოდი.[26]

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების პირადი კანონი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მოქალაქეობის კანონის (Lex patriae, Lex nationalis) ან საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონის (Lex domicilii) სახით.[27] კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები ფიზიკური პირის პირადი კანონის განსაზღვრისას უპირატესობას პირის მოქალაქეობის ქვეყნის კანონს (Lex partiae, Lex nationalis) ანიჭებენ.[28] თუმცა თუ ადრე კრიტერიუმების დაყოფა დაკავშირებული იყო კონკრეტულ სამართლებრივ სისტემასთან, ამჟამად შეიძლება ვისაუბროთ lex patriae და lex domicilii-ს საერთაშორისო საოჯახო სამართლის კონკრეტული ინსტიტუტიდან და უცხოელის სტატუსიდან გამომდინარე გამოყენების კანონზომიერების თანდათანობით ჩამოყალიბებაზე.[29] სიახლეს წარმოადგენს ასევე ფიზიკური პირის პირადი კანონის შერეული სისტემის გამოყენება, როდესაც მოქალაქეობისა და lex domicilii-ს კანონები ავსებს ერთმანეთს.[30]

რიგი ქვეყნების სამართალში ახალ ტენდენციას წარმოადგენს კოლიზიური საბამის გაყოფა უცხოელის სტატუსიდან გამომდინარე. უცხოეთის მოქალაქეების მიმართ გამოიყენება მოქალაქეობის კანონი, ხოლო აპატრიდების მიმართ - საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონი (Lex domicilii). ამასთან ერთად, საჭიროა ეროვნული სამართლის ნორმების დაცვა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებთან მიმართებით.[31]

---

[25] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 20

[26] იქვე, 21

[27] იქვე, 20

[28] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001,81

[29] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 20

[30] იქვე

[31] იქვე, 21

კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნები უპირატესობას ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის კანონს (Lex domicilii) ანიჭებენ.[32] საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის კანონი (Lex domicilii) გამოიყენება პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე მეუღლეების ვალდებულებების განსაზღვრისას. ამასთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციფიკური კრიტერიუმები „საერთო" ან „უკანასკნელ საერთო" ადგილსამყოფელთან დაკავშირებით.[33]

ქორწინების წესის შესრულების ადგილის კანონი (Lex Loci celebrationis) ნიშნავს იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას, რომლის ტერიტორიაზეც გაფორმდა ქორწინება. ქვეყნების უმრავლესობაში Lex loci celebrationis გამოიყენება მხოლოდ ქორწინების ფორმასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების წესის შესრულების კანონი მოსახერხებელი ინსტრუმენტია, იგი წარმოშობს რიგ პრობლემებს ქორწინების მატერიალურ პირობებთან დაკავშირებით გამოყენებისას. მაგალითად, ესენია: კანონისგან გადახვევის შესაძლებლობა და კოჭლი ურთიერთობების წარმოშობა. ქორწინების ფორმასთან დაკავშირებით Lex loci celebrationis შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.[34]

სასამართლოს ქვეყნის კანონის (lex fori) გამოყენების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კერძოსამართლებრივი დავის განმხილველი სასამართლო იყენებს მხოლოდ თავისი ქვეყნის სამართალს, მიუხედავად მხარეთა პირადი კანონისა თუ პერსონალური სტატუსისა.[35] აღნიშნული მიმაგრების ფორმულა, როგორც წესი, გამოიყენება საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში. კერძოდ, დავის განხილვისას სასამართლო პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით ეყრდნობა მხოლოდ საკუთარი

[32] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001,81
[33] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 21
[34] იქვე, 24
[35] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 89

ქვეყნის სამართლას - Lex fori-ს.[36] სასამართლოს შეუძლია დავა განიხილოს უცხო ქვეყნის მატერიალურ სამართალზე დაყრდნობით, მაგრამ სასამართლო პროცედურები მან საკუთარი ქვეყნის პროცესუალური ნორმების მიხედვით უნდა განახორციელოს.[37]

საოჯახო-საქორწინო სამართალში შეიმჩნევა „მოქნილი ფორმულების" განვითარება. ასეთი ფორმულები არ მიუთითებენ გამოსაყენებელ სამართალზე. ამის ნაცვლად, კომპეტენტური მართლწესრიგის არჩევის საკითხი დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულებაზე კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებების შესაბამისად. [38]

უკანასკნელ წლებში რიგი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში განვითარება ჰპოვა ყველაზე მჭიდრო კავშირში მყოფი კანონის და მხარეებისთვის ყველაზე სასარგებლო კანონის (lex benignitatis) ფორმულებმა, რომლებიც დოქტრინაში საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპების სისტემაში მოიაზრება მხარეთა ნების ავტონომიასთან ერთად.[39]

საქორწინო-საოჯახო უნრთიერთობების სფეროში ნოველას წამოადგენს მხარეთა შეზღუდული ავტონომიის გამოყენება (lex voluntatis). თუ სამოქალაქო სამართალში ამ პრინციპს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, მისი გავრცელება საერთაშორისო საოჯახო სამართალზე მხოლოდ ახლა იწყება. სახელმწიფოების უმეტესობა შეზღუდული ავტონომიის პრინციპს იყენებს საქორწინო ხელშეკრულებებსა და ალიმენტის გადახდის შესახებ შეთანხმებებში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში იგი გამოიყენება ქორწინების სამართლებრივ შედეგთან, მეუღლეების საკუთრებით ურთიერთობებთან, ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით.[40]

---

[36] იქვე

[37] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 89

[38] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 26

[39] იქვე

[40] იქვე

3. ქორწინების მოწესრიგება საქართველოს სამართალში

3.1. ქორწინების კერძო სამართლებრივი და კონსტიტუციურ სამართლებრივი გაგება

ქორწინება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში იკავებს ადგილს. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.[41]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქორწინების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მას ერთდროულად განიხილავს როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულებას, ისე პირადი ცხოვრების ფუნდამენტურ ასპექტს.[42] კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი. აქ კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორიცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს. ... ქორწინება და ოჯახი ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ სფეროში ინდივიდის თავისუფლების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია.[43]

---

[41] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, 1-ლი პუნქტი

[42] ერემაძე ქ, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 295

[43] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1-3.

სწორედ პიროვნული თავისუფლებისა და თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულება და ნაწილია ქორწინების თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, გარდა ინსტიტუციური გარანტიისა, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმაცაა.[44]

ქორწინების უფლება მოიცავს მრავალმხრივი ურთიერთობების ვრცელ სპექტრს. ის, „პირველ რიგში, უკავშირდება „ოჯახის შექმნაზე" ბუნებითი და ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას/დაცვას. ეს არის პირის უფლება, მოიპოვოს ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსი და საზოგადოებრივი აღიარება. დადგენილი წესით ქორწინება, არის სამართლებრივი საშუალება, რომ პირებმა სახელმწიფოსაგან და საზოგადოებისაგან მოიპოვონ მათი ურთიერთობის, როგორც ქორწინების ლეგიტიმაცია.[45]

კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ ქორწინება არის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. მაშასადამე, ქორწინება არის ოჯახის შექმნის და ოჯახური თანაცხოვრების საფუძველი, სამართლებრივი შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მთავარ სათქმელს (რეგულირების სფეროს) წარმოადგენს ის, თუ რა არის ქორწინება და რა პირობების დაკმაყოფილებისას იძენს ის ლეგიტიმაციას.[46] მართალია, კონსტიტუცია პირდაპირ/უშუალოდ არ მიუთითებს, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ არც იმას გულისხმობს უპირობოდ, რომ ის (ქორწინება) ამ თვალსაზრისით ერთადერთი კონსტიტუციური შესაძლებლობაა.[47] საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ქმნის კონსტიტუციურ გარანტიას ქორწინების ინსტიტუტისთვის, მიუთითებს ქორწინების მიზანზე – წყვილმა შექმნას ოჯახი, თუმცა ამ მუხლის ამოცანას არ

---

[44] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1-3.

[45] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 66

[46] ერემაძე ქ, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 296

[47] იქვე

წარმოადგენს ოჯახის ინსტიტუტის და მისი ფარგლების სრული რეგლამენტაცია.[48]

კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს ქორწინების რამდენიმე ასპექტზე,

კერძოდ: ა) ქორწინების თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ერთ-ერთ გამოხატულებას[49] „და მოიცავს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ქცევის თავისუფლებას. ამდენად, დაცულია ქორწინების როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თავისუფლება“.[50]

ბ) აღნიშნული კონსტიტუციური დებულება უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე, რაც გულისხმობს და მოითხოვს სახელმწიფოსგან შესაბამისი გარანტიების შექმნას აღნიშნული თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვებისაგან დასაცავად.[51]

გ) უმნიშვნელოვანესია ქორწინების ნებაყოფლობითი კომპონენტი – კონსტიტუცია აღიარებს პირის თავისუფლებას, მხოლოდ საკუთარი ნების შესაბამისად დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე.[52] ქორწინება ნებაყოფლობითია, თუ ის პირის ნების თავისუფალ და გაცნობიერებულ გამოვლენას ემყარება. ნების გამოვლენის თავისუფლება გულისხმობს პირის მიერ საკუთარი სურვილის ძალდაუტანებელ გამოვლინებას. ხოლო, გაცნობიერებულობა მოიცავს პირის უნარს, სათანადოდ აღიქვას და გააანალიზოს ქორწინების აქტი და მისი თანმდევი პიროვნული, სოციალური და სამართლებრივი შედეგები.[53]

---

[48] ერემაძე ქ, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი - 2020, 297

[49] იქვე

[50] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

[51] ერემაძე ქ, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი - 2020, 297

[52] იქვე, 299

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 75.

დ) კიდევ ერთი კონსტიტუციური გარანტიაა, რომ ქორწინება ეფუძნება მეუღლეთა თანასწორობას. [54]

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებულ ცვლილებებს შორის უფლებების საუარესოდ მიღებულ ერთ-ერთ ცვლილებას უდავოდ წარმოადგენს ქორწინების მარეგულირებელ დებულებაში გაკეთებული ჩანაწერი, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი. კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, ცვლილებების შედეგად დაკონკრეტდა, ვინ შეიძლება იყვნენ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები: ქალი და მამაკაცი.[55] ნიშანდობლივია, რომ ქორწინების ასეთი განმარტება ისედაც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ის კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტს აკონკრეტებდა, როგორც მხოლოდ ქალისა და კაცის ნებაყოფლობით კავშირს ოჯხის შექმნის მიზნით. თუმცა კონსტიტუციური ცვლილებების ავტორებმა ასეთი ცვლილების აუცილებლობა ახსნეს იმ გარემოებით, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, მისი არაკონსტიტუციურად ცნობის ალბათობა რეალისტური იყო.[56]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი გასაზღვრავს ქორწინების ცნებას. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.[57]

კანონმდებელი ქორწინების ცნებაში ორ მნიშვნელობას დებს: პირველი მნიშვნელობით ქორწინება იურიდიული ფაქტია, რასაც შედეგად მოჰყვება

[54] ერემაძე ქ, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი - 2020, 302
[55] იქვე
[56] იქვე
[57] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი

ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთიერთობის წარმოშობა. მეორე მნიშვნელობით ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ამ ორი მნიშვნელობით კანონმდებელმა შეძლო ერთიან ცნებაში მოექცია ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინებაში მყოფ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა.[58]

ქორწინების ცნების პირველი ნაწილი გარიგებაა ქორწინების შესახებ. ამ შემთხვევაში სახეზეა ორივე მექორწინის ნება. ამიტომ შეთანხმება ქორწინების შესახებ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობაა.[59] ქორწინების ცნების მეორე ნაწილი ქორწინებაში მყოფ პირთა უფლება-მოვალეობების განაწილებას გულისხმობს.[60]

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით მიღწეული შეთანხმებაა. თუ ქორწინება ოჯახის შექმნას არ ისახავს მიზნად, და ამის შესახებ წინასწარ არის ცნობილი, მისი რეგისტრაცია დაუშვებელია. მაგრამ თუ რეგისტრაციისს შემდეგ გამოვლინდა ეს, დაინტერესებული მხარის ინიციატივით მოხდება ქორწინების გაბათილება.[61]

ქორწინება არის ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის შეთანხმება ოჯახის შექმნის თაობაზე. კანონმდებელი აქ იცავს მონოგამიის პრინციპს. [62]

ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. ეს ნიშანი ქორწინების თავისუფლების პრინციპს ემყარება.[63] ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად მოხდა, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი. ქორწინების ნებაყოფლობა დასაქორწინებელ პირთა თანასწორუფლებიანობასაც გულისხმობს.[64]

შეუძლებელია დაქორწინება განსაზღვრული ვადით ან რაიმე პირობით. თუმცა, როდესაც მეუღლეთა ერთად ცხოვრება სუბიექტური თუ ობიექტური

---

[58] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი,(თეორია და პრაქტიკა),გამომცემლობა „მერიდიანი“.2015,50-51
[59] იქვე, 51.
[60] იქვე, 52
[61] იქვე
[62] იქვე
[63] იქვე, 53
[64] იქვე

მიზეზების გამო შეუძლებელია, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს განქორწინება წარმოადგენს. ამიტომ ქორწინება აპრიორულად სამიმსდღემშიო ხასიათს უნდა ატარებდეს.[65]

სექსუალური ორიენტციის ნიშნით პირების დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, სასურველია საქართველოში შემუშავებული იქნეს კანონმდებლობა ერთი და იმავე სქესის წყვილების საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით. მაგალითად, შემოღებული იქნეს რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტი, რომლითაც მოწესრიგდება მათი საოჯახო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობები. რის შედეგადაც, ასეთი პირები არ აღმოჩნდებიან სამართლებრივი რეგულირების მიღმა და მათი უფლებები უკეთ იქნება დაცული.

3.2. ქორწინების წარმოშობის საფუძვლები. საზღვარგარეთ გაფორმებული ქორწინების ცნობა

ქორწინება საოჯახო სამართლის საკვანძო ინსტიტუტია. ქორწინება ოჯახთან მჭიდრო კავშირშია და მის საფუძველს წარმოადგენს.[66] ქორწინების შედეგად წარმოიშობა ისეთი უფლება-მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრავს დაქორწინებული პირების შემდგომ საოჯახო ურთიერთობებს. სხვადასხვა ქვეყანაში ქორწინების წარმოშობისა და ნამდვილობისათვის სხვადასხვა კრიტერიუმია დაწესებული. უმრავლესი ქვეყნების საოჯახო კანონმდებლობაში იურიდიული ძალის მქონე ქორწინებისათვის გათვალისწინებულია აუცილებელი წინაპირობები, რომლებიც ეხება როგორც დასაქორწინებელ პირებს, ისე პროცედურულ ნაწილს. გარემოებები, რომლებიც აუცილებელია ქორწინების ნამდვილობის ცნობისათვის წარმოადგენს ქორწინების წინაპირობებს. მათ შორის, შესაძლოა გამოიყოს: დასაქორწინებელ

[65] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი,(თეორია და პრაქტიკა),გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, 53

[66] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 6

პირთა თანხმობა, საქორწინო ასაკის მიღწევა, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობა.[67]

ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობების განსაზღვრას. უპირველესყოვლისა, სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს როდისაა ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელი და რა გარემოებები მიიჩნევა რეგისტრაციისთვის ხელშემშლელად[68].

ქორწინების ნამდვილობის ყველა პირობა შეიძლება დაიყოს პირობებად, რომლებიც შეეხება ქორწინების ფორმას (ფორმის პირობები) და პირობებად, რომლებიც შეეხება საქორწინო უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. ქორწინების ფორმის პირობები - ეს არის პირობები, რომლებიც წაეყენება ქორწინების გაფორმების პროცედურას. მატერიალური პირობები – ეს არის პირობები, რომლთა არსებობა ან არარსებობას უკავშირებდა ქორწინების ნამდვილობის საკითხს.[69]

დაქორწინების პირობები იყოფა ორ ჯგუფად: დადებითი პირობები, რომელთა არსებობის დროს დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და უარყოფითი პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.[70]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლის მიხედვით ქორწინების პოზიტიური პირობებია - საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. აღნიშნული პირობების დაცვა, ოღონდ არაერთგვაროვანი გაგებით, სავალდებულოდაა მიჩნეული თითქმის ყველა ცივილიზებული

---

[67] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 205

[68] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000, 27

[69] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2017, 2, 91

[70] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000, 27

ქვეყნის კანონმდებლობით.[71] საქორწინო ასაკად საქართველოში დადგენილია 18 წელი როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. [72]

ქორწინებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ურთიერთთანხმობა. ამ პირობაში გამოხატულებას ჰპოვებს დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპი.[73]

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე აკრძალვას საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დაქორწინებისთვის. დაქორწინება დასაშვებია არა მარტო საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორისაც.[74]

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 44-ე მუხლში განსაზღვრავს დაქორწინების პირობებს. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებულია ძირითადი საკოლიზიო პრინციპი, რომლის თანახმად, ქორწინების პირობები თითოეული პირისთვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.[75] იგივე წესი მოქმედებს, როდესაც დასაქორწინებელი პირებიდან არცერთი არ არის საქართველოს მოქალაქე და ორივე ერთი რომელიმე უცხო ქვეყნის ან სხვადასხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს მათი ქვეყნების სამართალი.[76] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის სამართალზე მითითება გულისხმობს არამარტო ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე მითითებას, არამედ ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი მითითება გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას. შესაბამის დანაწესს შეიცავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

---

[71] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000, 28

[72] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

[73] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 31-32

[74] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001, 97.

[75] იქვე

[76] იქვე

ქორწინებისას თანხვედრაში მოდის ქმრისა და ცოლის პირადი სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ქორწინების მატერიალური სამართლის პირობებს. ქორწინების ბათილად ცნობისათვის ან მის რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის საკმარისია ერთ-ერთი მეუღლის სამართლის ნორმების დაუცველობა, ამასთან, უცხო ქვეყნის მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება, რომლებიც ჩვენი მართლწესრიგისათვის არ არის მისაღები, შეიძლება გამოირიცხოს საჯარო წესრიგის და იმპერატიული ნორმების მეშვეობით.[77]

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისებს ამავე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული ძირითადი საკოლიზიო პრინციპებიდან. ეს გამონაკლისები მდგომარეობს შემდეგში:

თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება იმ შემთხვებში: 1) თუ სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ სამართალთან შედარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას.[78] მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ქორწინების თავისუფლების ისეთ შეზღუდვას, რომელსაც შეიცავს უცხო ქვეყნის სამართალი, მაგრამ არ იცნობს საქართველოს სამართალი. მაგალითად, რიგი ქვეყნების სამართალი იცნობს ქორწინების თავისუფლების შეზღუდვას რელიგიური მოსაზრებებით, რასაც არ იცნობს საქართველოს სამართალი.[79] ამიტომ, თუ დაქორწინება ხდება საქართველოში და ერთერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც ზღუდავს

---

[77] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2017, 2, 93

[78] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,98

[79] იქვე

დაქორწინების თავისუფლებას საქართველოს სამართალთან შედარებით, გამოიყენება საქართველოს სამართალი.[80]

2) თუ წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას. საქართველოს კანონმდებლობით არ დაიშვება ქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებულია სხვასთან (სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი). მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც დასაშვებია განმეორებით დაქორწინება. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მოქალაქეს სურს დაქორწინდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც უკვე იმყოფება ქორწინებაში, გამოყენებული უნდა იქნას არა ამ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს მეორე ქორწინებას, არამედ საქართველოს სამართალი და, აქედან გამომდინარე, ასეთ პირს უარი უნდა ეთქვას დაქორწინებაზე.[81]

3) საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება შესაძლებელია თუ წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეწყვეტილია ან ბათილადაა ცნობილი.[82]

ხელმეორედ დაქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია ქორწინების რეგისტრაციისას წარმოადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ ქორწინება ბათილად ცნო სასამართლომ, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა დადასტურდეს, რომ აღარ არსებობს საფუძველი, რის გამოც ქორწინება გაბათილდა (სამოქალაქო კოდექსის 1150-ე მუხლი).[83]

4) თუ დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

მართალია ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი

---

[80] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,98
[81] იქვე
[82] იქვე, 99
[83] იქვე

განეკუთვნება, მაგრამ თუ ქორწინების ამ პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქათველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, ოღონდ თუ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი პირობიდან ერთ-ერთი მაინც.[84]

დასაქორწინებელ პირთა პირად სამართალზე საუბრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ორმაგი მოქალაქეობის საკითხი. თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას. ხოლო, თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არმქონეა ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – საქართველოს სამართალი. ამგვარ რეგულირებას შეიცავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.

არ არის გამორიცხული, რომ ქორწინების განმავლობაში შეიცვალოს მეუღლეთა ან ერთერთი მათგანის პირადი სტატუტი, მაგალითად, მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ადგილის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის შეცვლით. ახალი მართლწესრიგი, ძველისაგან განსხავავებით, ქორწინებას შეიძლება უყენებდეს სრულიად სხვა მოთხოვნებს, რომლებიც აბათილებენ ან, პირიქით, ნამდვილად ცნობენ შეცვლამდე არსებული სტატუტით განხორციელებულ ქორწინების პირობებს. მიუხედავად ამისა, აღიარებულია, რომ სტატუტის შეცვლა გავლენას არ ახდენს ქორწინების ნამდვილობაზე, ისევე, როგორც ნაკლის მქონე ქორწინებას ვერ აქცევს ნამდვილ ქორწინებად.[85]

---

[84] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,100

[85] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 94

ქორწინების ფორმასთან დაკავშირებით ქვეყნები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირველს მიეკუთვნება ქვეყნები, რომელშიც აღიარებულია მხოლოდ კომპეტეტენტურ სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება. რელიგიურ ქორწინებას ასეთ ქვეყნებში იურიდიული მნიშვნელობა არ ენიჭება. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება მაგ: საფრანგეთი, შვეიცარია, მექსიკა, იაპონია და სხვ.[86]

მეორე ჯგუფს ქმნის ქვეყნები (მაგ. ინგლისი, ავსტრალია, პოლონეთი, სკანდინავიის ქვეყნები), სადაც სამართლებრივი შედეგები თანაბარწილად მოჰყვება ქორწინების სამოქალაქო და საეკლესიო ფორმებს. არჩევანის უფლება ასეთ დროს დასაქორწინებელ პირებს ეკუთვნის.[87]

მესამე ჯგუფს ქმნის ქვეყნები, რომლებშიც დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ საეკლესიო ფორმით. ასეთი ფორმა ამ ქვეყნების მოქალაქეებისათვის იმ შემთხვევაშიც კი აუცილებელია, როდესაც ისინი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქორწინდებიან. ასეთი ქვეყნებია მაგალითად, ლიხტენშტეინი, ანდორა, ირანი, ერაყი და სხვა.[88]

საინტერესო გასაანალიზებელია ქორწინების „არატრადიციული“ ფორმები: დროებითი და გარდაცვალებისშემდგომი ქორწინებები; ასევე ფაქტობრივი თანაცხოვრების ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება. დროებითი ქორწინება მუსულმანური საოჯახო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტია. მისი მოწესრიგება მოცემულია ირანის ისლამური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში (მუხლები 1075-1077). გარდაცვალებისშემდგომი ქორწინების ინსტიტუტი რამდენიმე ქვეყანაში არსებობს. მაგალითად, ჩინეთში ასეთი ქორწინება განპირობებულია ტრადიციით. აღნიშნული ინსტიტუტი საერთაშორისო საოჯახო სამართლისათვის საინტერესოა, რადგან ქორწინების წესისა და ქორწინების ცნობის შესახებ 1978 წლის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად წევრი სახელმწიფოების მიერ ქორწინების ცნობა არ ვრცელდება

---

[86] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 212

[87] იქვე, 212-213

[88] იქვე, 213

გარდაცვალებისშემდგომ ქორწინებებზე. სხვადასხვა დროს გარდაცვალებისშემდგომი ქორწინებები დარეგისტრირებული იქნა: აშშ-ში (ილინოისის შტატში 2009წ), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (2004წ), სამხრეთ კორეაში (1982 და 1984წ.წ.) დღეისათვის ამ ქვეყნების კანონმდებლობა აღნიშნულ პროცედურას არ ითვალისწინებს.[89]

ზოგიერთი სახელმწიფოს სამართალში (ნიდერლანდები, ბელგია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, უკრაინა) შეინიშნება კვაზისაქორწინო ურთიერთობების სამართლებრივი შედეგების აღიარების ტენდენცია. ფაქტობრივი თანაცხოვრების ინსტიტუტისათვის კანონიერი სტატუსის მინიჭების მიზანი არის პარტნიორების ქონებრივი ურთიერთობის, ასეთი კავშირების შედეგად დაბადებული ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, ასევე ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პარტნიორებისათვის გარკვეული შეღავათების მინიჭება. ამასთან, საუბარია როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორებზე.[90]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ასეთ რეგისტრაციას კონსტიტუციური ანუ უფლებაწარმომქმნელი მნიშვნელობა გააჩნია.[91] ქალისა და მამაკაცის კავშირი, თუ იგი არ არის რეგისტრირებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინებად არ ითვლება და წარმოადგენს მხოლოდ თანაცხოვრებას.[92]

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება

---

[89] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 54-55

[90] იქვე, 55-56

[91] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000, 24-25

[92] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი,(თეორია და პრაქტიკა),გამომცემლობა „მერიდიანი, 56.

საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყნაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.[93]

ამდენად, ქორწინების ფორმის საკითხში ძირითად საკოლიზიო საბამს წარმოადგენს არა პირის პირადი კანონი, არამედ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც დარეგისტრირდა ქორწინება - Lex loci celebretionis. ქორწინების ფორმის საკითხის განხილვისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ქორწინება საზღვარგარეთ და ქორწინება ქვეყნის შიგნით. თუ საზღვარგარეთ ქორწინდებიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ იმოქმედებს ქორწინების ის მატერიალური პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვენი კანონმდებლობით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, მისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები. მაგრამ, რაც შეეხება ფორმას, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ქორწინება ხორციელდება ქორწინების ადგილის სამართლით გათვალისწინებული ფორმით (მაგალითად, რელიგიური ქორწინება), ის მაინც ცნობილი უნდა იქნეს საქართველოში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქართველოში ქორწინდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე (ე.წ.შერეული ქორწინება), მათ უნდა დაიცვან საქართველოში აღიარებული ქორწინების ფორმა.[94]

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მესამე პუნქტის ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ა) თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა და ქორწინება საქართველოში ფორმდება, დაქორწინება უნდა მოხდეს საქართველოს სამართლით განსაზღვრული ფორმის დაცვით; ბ) თუ დაქორწინება ხდება უცხო ქვეყანაში, მაშინ დაქორწინება წარმოებს ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, თუნდაც ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი

---

[93] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,102

[94] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 96

საქართველოს მოქალაქე იყოს; გ) თუ დასაქორწინებელი პირები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ქვეყნის სამართლის მიხედვით.[95] ამასთან, მითითებული დასკვნა არ გამომდინარეობს აღნიშნული ნორმის სიტყვასიტყვითი რედაქციიდან. კერძოდ, 44-ე მუხლის მესამე პუნქტის მეორე წინადადება - „თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“ შეიძლება განმარტებული იქნეს იმგვარად, რომ უცხოეთის მოქალაქის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმა, ხოლო საქართველოს მოქალაქის მიმართ, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული, რაც წარმოადგებს ხარვეზს. [96]

მითითებული პუნქტი, სასურველია ჩამოყალიბდეს იმგვარი რედაქციით, რომ დასაქორწინებელ პირებს საქართველოში ქორწინებისას ქორწინების ფორმის არჩევის შესაძლებლობა ჰქოდეთ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მათგანი არ არის საქართველოს მოქალაქე.

---

[95] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,102

[96] იხ. აგრეთვე, ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 96

4. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

საერთაშორისო საოჯახო კანონმდებლობის უნიფიკაცია საკმაოდ ნელა მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში ქორწინების მატერიალური პირობების მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლოა, წარმოიშვას ისეთი სიტუაციები, როდესაც ერთ ქვეყანაში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული ქორწინების ცნობა არ ხდება სხვა ქვეყანაში ამ სახელმწიფოს კანონების უგულებელყოფის საფუძვლით. ასეთ მოვლენას საერთაშორისო საოჯახო სამართლის დოქტრინაში „კოჭლი“ ქორწინების სახელი ეწოდა.[97] ამდენად, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების გაანალიზებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

4.1. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ქართულ სამართალში

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში.

ასეთ გარემოებათა გამო ქორწინების აკრძალვა დაკავშირებულია საქორწინო სამართლის ძირითადი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობასთან. მათ შორის გასაკუთრებით აღსანიშნავია ერთქორწინების პრინციპი.[98] ქორწინების მარეგულირებელი ნორმებს საფუძვლად მონოგამიის პრინციპი უდევს.[99] კანონის მიხედვით, თუ ერთ-ერთ ან ორივე მეუღლე სხვა ქორწინებაში იმყოფება და მაინც მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, ასეთი ქორწინება უნდა გაბათილდეს.[100] ქორწინებათა ოდენობა განსაზღვრული არ

---

[97] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 205

[98] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000,49-50

[99] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 208

[100] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000,49-50

არის, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მონოგამიის პრინციპს.[101] ამჟამად ერთქორწინების პრინციპი ევროპის ყველა ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველია. ისლამი ერთადერთი რელიგიაა, რომელიც თავის წმინდა წერილში მრავალცოლიანობას უშვებს.[102]

კანონის მიერ სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებიდან რამდენიმე ნათესაობის საერთო შინაარსით შეიძლება გაერთიანდეს.[103]

ქორწინების ერთ-ერთი წინაპირობა დასაქორწინებელ პირთა შორის გარკვეული ხარისხის ნათესაური კავშირის არარსებობაა. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში აკრძალულია, ვინაიდან ასეთმა კავშირმა შესაძლოა გამოიწვიოს გენეტიკური მემკვიდრეობითი დაავადებები ბავშვებში. ასევე იკრძალება ქორწინება აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავებს, ბიოლოგიური და არაბიოლოგიურ და-ძმას, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.[104]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალულია დაქორწინება პირდაპირი ხაზის ყველა ხარისხის ნათესავებს შორის. კერძოდ, პაპა-ბებიას, მშობლებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს შორის. რაც შეეხება გვერდით ხაზს, აქ მხოლოდ ყველაზე ახლო ხარისხის ნათესავებს - დებსა და ძმებს შორის იკრძალება ქორწინება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, დები და ძმები ორივე მშობლით არიან ერთიანი, თუ - დედით ან მამით. არაბიოლოგიურ და-ძმას შორის სისხლით კავშირია განმსაზღვრელი.[105]

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან მითითებას შვილად აყვანის დროს ნათესაურ ურთიერთობათა

---

[101] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000,49-50

[102] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 208

[103] შენგელია რ., შენგელია ე., საოკახო და მემკვიდრეობითი სამართალი,(თეორია და პრაქტიკა),გამომცემლობა „მერიდიანი, 68

[104] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 209

[105] შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2000, 51

შინაარსისა და ქორწინებაზე მათი გავლენის შესახებ. არსებული წესის მიხედვით შვილად აყვანა არ წარმოშობს ნათესაურ ურთიერთობას, ერთი მხრივ, მშვილებლისა და მეორე მხრივ, ნაშვილების ნათესავებს შორის. ამიტომ მათ შორის ქორწინება დასაშვებად უნდა ჩაითვალოს.[106] რაც შეეხება გაშვილების ფაქტს, იგი მართალია წყვეტს ნათესაურ კავშირს გაშვილებულსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის, აგრეთვე წარმოშობით ნათესავებს შორის, მაგრამ ეს მხოლოდ სამართლებრივი კავშირის შეწყვეტაა, ხოლო სისხლით კავშირი მათ შორის კვლავაც რჩება. ამიტომ სისხლის აღრევის თავიდან აცილების მიზნით კანონი კრძალავს გაშვილებულსა და მის სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებას.[107] არ შეიძლება გაშვილებული პირი მომავალში დაქორწინდეს თავისი პირდაპირი ხაზის ნებისმიერი ხარისხის ბიოლოგიურ ნათესავზე ან თუნდაც ნახევარ დაზე (ძმაზე), მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ნათესაობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტილია გაშვილების მომენტიდან.[108]

ნაშვილებისგან განსხვავებულ პრინციპზეა აგებული მშვილებლის საქორწინო სამართლებრივი შინაარსი. შვილად აყვანის ფაქტი, კანონის მიხედვით, არ წარმოშობს ნათესაურ სამართლებრივ ურთიერთობას მშვილებელსა და ნაშვილების ბიოლოგიურ ნათესავებს შორის. მშვილებელს მხოლოდ ეკრძალება ნაშვილებზე დაქორწინება.[109]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღებზე ქორწინდება, მაშინ, ამ უკანასკნელის ინტერესების სრულყოფილი დაცვისთვის, საჭიროა დამატებით, დროებითი მხარდამჭრის გამოყოფა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ჩაითვლება.[110]

---

[106] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი,(თეორია და პრაქტიკა),გამომცემლობა „მერიდიანი, 71.
[107] იქვე
[108] იქვე
[109] იქვე
[110] იქვე, 72

4.2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები უცხოური ელემენტის მონაწილეობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი შეიცავს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალს. ასეთივე ჩამონათვალს შეიძლება შეიცავდეს იმ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელსაც დასაქორწინებელი პირი განეკუთვნება.[111]

მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულია კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების ქორწინება უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირებთან ან უცხო ქვეყნების მოქალაქეების ქორწინება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე. ქორწინებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონები და ტრადიციები საკმაოდ მრავალფეროვანია, ამიტომ ის, რაც მიღებულია ერთ ქვეყანაში, შესაძლოა სხვა ქვეყანაში დაუშვებელი იყოს. ამ ასპექტებს შორის შესაძლოა გამოვყოთ ქორწინების საეკლესიო წესით ჩატარება, პოლიგამიის დასაშვებობა, ან მონოგამიის პრინციპი, სხვადასხვა საქორწინო ასაკი, დასაქორწინებელ პირთა შორის ნათესაური კავშირის დასაშვებობა ან დაუშვებლობა. აღნიშნული საკითხები წარმოშობს სხვა სახელმწიფოში ქორწინების ცნობის აუცილებლობას.[112]

ბევრი ევროპული ქვეყანა აბსოლუტურად ემხრობა მონოგამიურ ქორწინებას. ამასთან, მუსულმანურ ქვეყნებში დასაშვებია პოლიგამიური ქორწინება.[113]

გარდა ამისა, ქორწინების წესისა და პირობების განსაზღვრისას ხშირად დიდ როლს თამაშობის რელიგიური და წეს-ჩვეულებითი ურთიერთობები. მაგალითად, საქორწინო ასაკი, გლოვის დღეები და ა.შ.[114]

---

[111] ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001,101.

[112] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 61

[113] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 313-314

[114] იქვე, 314

ცალკეულ ქვეყნებში განქორწინებული ან ქვრივი ქალისთვის არსებობს გარკვეული ვადით ხელახალი დაქორწინების აკრძალვა. ეს ვადა საფრანგეთსა და შვეიცარიაში შეადგენს 300 დღეს, გერმანიაში - 10 თვეს, იაპონიაში - 6 თვეს. ეს აკრძალვა არ მოქმედებს თუ განქორწინება ერთერთი მეუღლის უნაყოფობის საფუძველზე მოხდა.[115]

ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ქორწინებას ბათილად მიიჩნევს, თუ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, მათ შორის, როდესაც იურიდიულად არ არის გაუქმებული წინა ქორწინება.[116]

შვეიცარიისა და გერმანიის სამართლის თანახმად, ქორწინება ითვლება არარად, თუ დარღვეულია პირის სხვა ქორწინებაში არყოფნის მატერიალური პირობა. როგორც შვეიცარიის, ისე გერმანიის სამართალი ქორწინების არარად ცნობისათვის მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების არსებობას. მაგრამ გერმანიის სამართლის თანახმად, ქორწინება იმ პირის მიერ, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში, ცნობილი იქნება არარად დასაწყისიდანვე – ex tunc, ხოლო შვეიცარიის სამართლის თანახმად მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან _ ex nunc.[117]

ქვეყნების უმეტესობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს დასაქორწინებელ პირთა თანხმობის არარსებობა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყნებში ორივე ან ერთ-ერთი მათგანის თანხმობა არ წარმოადგენს დაქორწინების აუცილებელ წინაპირობას. მაგალითად, ინდოეთში მუსულმანი ქალი შესაძლოა დააქორწინონ მისი თანხმობის გარეშე სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც. დაახლოებით მსგავსი რეგულირება გვხვდება იემენშიც.[118]

---

[115] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 50

[116] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 314

[117] L.P. Anufrieva "International Private Law", Special part, Year-2002, page 546,552, მითითებულია, ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 91

[118] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 42

ქვეყნების უმრავლესობაში ქორწინებისათვის აუცილებელია ორივე მხარის სავალდებულო დასწრება. მინდობილობის საშუალებით დაქორწინება დასაშვებია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში. მათ შორისაა, პერუ, პოლონეთი.[119]

საოჯახო სამართალში ქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარკვეული ასაკის მიღწევა. მაგრამ, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საქორწინო ასაკთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მიდგომები. ზოგიერთი ქვეყანა საქორწინო ასაკად საკმაოდ მცირე ასაკს განსაზღვრავს, ზოგიერთი საკმაოდ დიდს. ზოგიერთი ქვეყანა ითვალისწინებს არასრულწლოვანთა ქორწინებას მხოლოდ კანონერი წარმომადგენლობის ნებართვით.[120]

ქორწინების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მოიაზრება დასაქორწინებელ პირთა გარკვეული ხარისხის ნათესაობის არარსებობა. აშშ-ს ზოგიერთ შტატში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებად მიიჩნევა ზოგიერთი დაავადება (ჰეპატიტი, სექსუალური ხასიათის დარღვევები, უნაყოფობა). [121]

ქვეყნების უმეტესობაში ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ერთ-ერთი მომავალი მეუღლის ქმედუუნარობა.[122]

ბევრ ქვეყანაში ქორწინების ერთ-ერთი წინაპირობა დასაქორწინებელ პირთა სხვადასხვა სქესისადმი კუთვნილებაა. ამჟამად ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგალითად, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ასევე აშშ-ში ლეგალიზებულია ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. [123]

როგორც აღინიშნა, საქართველო საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების რეგულირების საკითხში ხელმძღვანელობს დასაქორწინებელ პირთა ეროვნული, მათ შორის, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებით.

---

[119] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 206

[120] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001, 322

[121] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 49

[122] იქვე, 51

[123] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 210; Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 51

ამდენად, კოლიზიური საკითხების გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ქორწინებისათვის არ არის საკმარისი ორი პირის მიერ ოჯახის შექმნის მიზნით კავშირის დამყარების სურვილი. ასეთ კავშირს მეუღლეების პირადი და ქონებრივი უფლებები შედეგად მხოლოდ მაშინ მოჰყვება, როდესაც ის შესაბამისი წესითაა გაფორმებული და ამასთანავე, სახეზე არაა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.[124]

[124] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 35

5. ქორწინება გერმანულ სამართალში

5.1. ქორწინების არსი და სპეციფიკა გერმანულ სამართალში

ქორწინება გერმანულ მატერიალურ სამართალში გულისხმობდა ქალსა და მამაკაცს შორის ოფიციალურად, გარკვეული ფორმალობების დაცვით გაფორმებულ კავშირს, რომლის მიზანია ერთობლივი თანაცხოვრება და ოჯახის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა და ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა თანაცხოვრებას (რომელსაც რეგისტრირებული პარტნიორობა ეწოდება) მოჰყვებოდა გარკვეული სამართლებრივი შედეგები გერმანიაში, ის არ იყო გათანაბრებული ქორწინებასთან, ხოლო პარტნიორები არ იძენდნენ ერთმანეთის მიმართ იმავე მოცულობის უფლება-მოვალეობებს, როგორიც მეუღლეებს აქვთ.[125] 2017 წლის პირველი ოქტომბრიდან, გერმანიაში ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება ნებადართული გახდა. ასეთი პირებისთვის გარანტირებულია გერმანიის კონსტიტუციით გათვალისწინებული ქორწინებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. წყვილებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან რეგისტრირებულ პარტნიორულ ურთიერთობაში, შეუძლიათ გარდაქმნან პარტნიორობა ოფიციალურ ქორწინებად ან განაგრძნონ პარტნიორული ურთიერთობა ქორწინებისთვის დამახასიათებელი ყველა უპირატესობის და დაცვის გამოყენებით.[126]

გერმანიაში ნიშნობას აქვს იურიდიული მნიშვნელობა და მისი არსი არის ქორწინებაზე წინასწარი თანხმობა. ამასთან, ნიშნობის შემდგომ ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აუცილებელია ქორწილის მოსამზადებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ასეთი წესები გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1297-1302 პარაგრაფებით.[127] ივარაუდება, რომ ეს ინსტიტუტი დასაქორწინებელ პირებს აძლევს ქორწინების შესახებ მათ

[125] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 42

[126] https://www.howtogermany.com ნანახია 10/02/2021

[127] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 44

გადაწყვეტილებაზე დაფიქრებისა და ქონებრივი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას.[128]

საქართველოს მსგავსად ნიშნობა არც გერმანულ სამართალში წარმოშობს ქორწინების ვალდებულებას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1297-ე პარაგრაფის თანახმად, შეუძლებელია ნიშნობის შემდგომ სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის დავალდებულება ქორწინებაზე. ასევე ბათილად მიიჩნევა ქორწინება, რომელიც შედგა დაქორწინებაზე უარის გამო პირის დასჯის მუქარის შედეგად.[129] თუ დანიშნული უარს იტყვის ნიშნობაზე, იგი ვალდებულია სხვა დანიშნულს და მის მშობლებს, ისევე როგორც მესამე პირებს, რომლებიც მოქმედებდნენ მშობლების ნაცვლად, აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მათ ქორწინების მოლოდინის გამო გასწიეს ხარჯები ან იკისრეს ვალდებულებები. იგი ვალდებულია ასევე სხვა დანიშნულს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულ იქნა იმით, რომ ამ უკანასკნელმა ქორწინების მოლოდინის გამო მიიღო სხვა ზომები, რომლებიც ეხება მის ქონებასა თუ შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. ზიანი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც ხარჯები, ნაკისრი ვალდებულებები და სხვა ზომები გარემოებების შესაბამისი იყო. ამასთან, თუ სახეზეა ნიშნობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა.[130] ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა თუ აღმოჩნდება ქორწინების ბათილობის საფუძვლები და ამის გამო უარს იტყვის დანიშნული პირი ქორწინებაზე. ასეთ შემთხვევაში ის არის ვალდებული აუნაზღაუროს ქორწინებაზე უარის მთქმელს ზიანი. დაუქორწინებლობის შემთხვევაში დანიშნულს შეუძლია მეორე მხარისგან მოითხოვოს გადაცემული საჩუქრების უკან დაბრუნება.

---

[128] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 40

[129] იქვე, 39

[130] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1298, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, 2019

მოთხოვნის უფლება, მათ შორის ზიანის ანაზღაურების უფლება ხანდაზმულია ნიშნობის გაუქმებიდან 2 წლის შემდეგ.[131]

5.2. ქორწინების წარმოშობის საფუძვლები გერმანიაში

ისევე როგორც ქვეყნების უმეტესობაში, გერმანიაში დაქორწინების ერთ-ერთი პირობა არის საქორწინო ასაკის მიღწევა. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1303-ე პირველი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია დაქორწინება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. სრულწლოვანება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეორე პარაგრაფის მიხედვით, დგება 18 წლის ასაკის მიღწევისას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1303-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად, შესაძლებელია ქორწინების ასაკის შემცირება 16 წლამდე, საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ. ასეთ დროს მეორე მეუღლე უნდა იყოს სრულწლოვანი. თუ განმცხადებელი პირის კანონიერი წარმომადგენელი ან ბავშვებზე მზრუნველი სხვა პირი ეწინააღმდეგება განცხადებას, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ქორწინების აკრძალვის თაობაზე დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი არ ეფუძნება დამაჯერებელ საფუძვლებს.[132]

თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ქორწინების აკრძალვის თაობაზე დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, მაშინ განმცხადებელს აღარ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის ან ბავშვებზე მზრუნველი სხვა პირის თანხმობა.[133]

გერმანიაში აკრძალულია ქმედუუნარო პირთან ქორწინება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1304) ასეთი ქორწინება სასამართლოს მიერ ანულირებული იქნება. ასევე ანულირებას ექვემდებარება დროებითი

---

[131] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1301, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

[132] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1303, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

[133] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1303, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა,თბილისი, 2019

ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირის ქორწინება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1314).[134]

გერმანიაში დაუშვებელია ქორწინება: თუ პირი უკვე არის სხვასთან დაქორწინებული; თუ პირი სხვასთან ცხოვრობს და ეწევა საოჯახო მეურნეობას;[135] პირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის, აგრეთვე და-ძმებსა და ნახევარ და-ძმებს შორის, თუნდაც ერთ-ერთი მათგანი იყოს გაშვილებული.[136]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება ასევე დაუშვებელია შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის, გარდა იმ შემთხვევებისა თუ შვილად აყვანა გაუქმდება. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ქორწინების აკრძალვის თაობაზე აღნიშნული დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ განმცხადებელსა და მის მომავალ მეუღლეს შორის შვილად აყვანის შედეგად წარმოიშვა გვერდითი ხაზით ნათესაობა. დანაწესისაგან გათავისუფლებაზე უარი უნდა ითქვას იმ შემთხვევაში, თუ დაქორწინებას ხელს უშლის მნიშვნელოვანი საფუძვლები.[137]

გერმანიაში სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ რეგისტრირებული ქორწინება.[138]

5.3. უცხოური ელემენტი ქორწინებაში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის (EGBGB) მე-13 მუხლის თანახმად, ქორწინების პირობები თითოეულ დასაქორწინებელ პირთაგან

[134] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 39

[135] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1306, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

[136] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1307, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

[137] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1308, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

[138] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 1310, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019

ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.[139] დამატებითი ვალდებულებების არსებობისას, გამოიყენება გერმანიის სამართალი. მაგალითად, როდესაც დასაქორწინებელი პირის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი გერმანიაა, ან იგი გერმანიის მოქალაქეა.[140]

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მეორე პუნქტის მსგავსად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-13 მუხლი ადგენს ზოგადი საკოლიზიო პრინციპიდან გამონაკლისებს. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტს საილუსტრაციო ტიპიური შემთხვევაა, როდესაც დასაქორწინებელი პირის მშობლიური სამართალი არ ცნობს განქორწინებას და ამით იქმნება მეორე ქორწინებიასათვის დამაბრკოლებელი გარემოება. მაგალითად, ჩილეს ორი მოქალაქე განქორწინდა გერმანიაში. ჩილეს სამართლის თანახმად, მათ აღარ აქვთ ქორწინების უფლება, მაგრამ ჩილელ მამაკაცს სურს გერმანიაში ცოლად შეირთოს გერმანელი მოქალაქე.[141] შესაბამისად გამოიყენება გერმანიის სამართალი, რომელიც ასეთ შეზღუდვას არ ცნობს.[142]

პირი, ვინც "სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის" მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის დაცვის პირობით დაქორწინების წინაპირობებთან დაკავშირებით ექცევა უცხოური სამართლის მოქმედების ქვეშ, ვერ დაქორწინდება, სანამ იგი არ წარადგინეს საკუთარი ქვეყნის ადგილობრივი ორგანოს ცნობას იმის შესახებ, რომ მისი ქვეყნის სამართლის თანახმად დაქორწინების ხელისშემშლელი გარემოებები არ არსებობს ადგილობრივი ორგანოს მიერ გაცემულ ცნობად ითვლება ასევე სხვა უწყების მიერ დაინტერესებული პირის

---

[139] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 94

[140] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 51

[141] Hemmer/Wüste/Berger-Walliser/Knoblauch/Merker "Internationales Privatrecht", S.33. მითიებულია, ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 95

[142] ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, 95

ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დასტური. ცნობა კარგავს ძალას, თუ ქორწინება არ ფორმდება მისი გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში; თუ ცნობაში მითითებულია მოქმედების უფრო ნაკლები ვადა, მაშინ განმსაზღვრელია ეს უკანასკნელი. ქორწინების ხელშემშლელი გარემოებების არარსებობის ცნობის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება შეუძლია ლანდის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის სამოქმედო რაიონშიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს აქვს ადგილსამყოფელი და რომელშიც წარდგენილია განცხადება დაქორწინების შესახებ. გათავისუფლება უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ, რომლებსაც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვთ უცხოეთში და იმ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომელთა ორგანოები არ გასცემენ დაქორწინებაუნარიანობის ცნობებს. გათავისუფლება მოქმედებს მხოლოდ ექვსი თვის ვადით.[143]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქვეყანაში ქორწინება დასაშვებია მხოლოდ გერმანული კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. ამასთან, ისეთ პირებს შორის ქორწინება, რომელთაგან არც ერთი არ არის გერმანიის მოქალაქე, შესაძლებელია შედგეს იმ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი წესით უფლებამოსილი პირის წინაშე, რომლის მოქალაქეცაა ერთერთი დასაქორწინებელი პირი ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.[144]

ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის წარდგენისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც სარჩელის წარდგენის მომენტისათვის დაკავშირებული არიან მხარეები. მოქალაქეობის შეცვლამ არ შეიძლება ნამდვილი ქორწინება გადააქციოს ბათილ ქორწინებად. გერმანიის სამართალი ამ აღიარებული პრინციპიდან

---

[143] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §1309, მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ, მეორე გამოცემა, 2019

[144] Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007, 51; Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 40-41

გამონაკლისს ითვალისწინებს. სტატუტის შეცვლამ ქორწინება ნამდვილად შეიძლება აქციოს მაშინ, როდესაც ქორწინების შემდეგ მეუღლეთა პირადი სტატუტი შეიცვლება და საერთო გახდება ორივე მეუღლისათვის.[145]

გერმანელი კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ უცხო ქვეყნის სამართალი (ქორწინების წესის შესრულების ან ქორწინების შედეგების) შესაძლოა სხვაგვარად აწესრიგებდეს ქორწინების ცნებას და მასში მოიაზრებდეს დროებით თანაცხოვრებას, რომელიც არ წარმოადგენს ქორწინებას გერმანული მატერიალური სამართლის გაგებით.

გერმანიაში უცხოური რეგისტრირებული პარტნიორობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 17b მუხლით. ამ მუხლის თანახმად გამოსაყენებელია რეგისტრაციის ადგილის სამართალი. ამდენად, უცხოური რეგისტრირებული კავშირის ცნობა გერმანიაში მოხდება, თუ ის ნამდვლია რეგისტრაციის ადგილის სამართლის მიხედვით. ცნობა არ არის დამოკიდებული მხარეთა lex personalis-ზე.[146]

გერმანიაში პარტნიორებს შორის ქონებრივი ურთიერთობები წესრიგდება lex loci registrationis-ის მიხედვით მაგრამ რეგისტრირებული პარტნიორობის შედეგების აღიარება შეზღუდულია თუ ისინი უფრო ფართოა ვიდრე გერმანულ სამართალში.[147]

გერმანიაში არ არსებობს სპეციალური პროცედურა ან უფლებამოსილება, რომელიც მხოლოდ საზღვარგარეთ გაფორმებული ქორწინების აღიარებას ეხება. ამდენად, ქორწინების ნამდვილობა ყოველთვის წინასწარი საკითხია სხვა ადმინისტრაციულ აქტებთან მიმართებაში (მაგ. სახელის შეცვლა, საოჯახო წიგნის შექმნის განცხადება შიდა რეესტრში, საგადასახადო ბარათზე

---

[145] Thomas Rauscher, S.149. მითითებულია, ხვედელიანი დ, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2

[146] Gerard-René de, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, Electronic Journal of Comparative Law, vol. 11.3, December 2007, 26

[147] იქვე, 32

ჩანაწერის შეცვლა და ა.შ.). ეს წინასწარი საკითხი უნდა განისაზღვროს საერთაშორისო საქმეთა სააგენტოს მიერ, თავისი დისკრეციის შესაბამისად.[148]

უცხოური ქორწინების მოწმობა გერმანიის ხელისუფლებისა და სასამართლოების მიერ ხშირად აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, მათი ავთენტურობა ან მტკიცებულებითი ღირებულება დადასტურებულია ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში.[149]

[148] https://www.auswaertiges-amt.de/en ნანახია 10/02/2021
[149] https://www.auswaertiges-amt.de/en ნანახია 10/02/2021

6. ქორწინების ინსტიტუტი აშშ-ში

6.1. ქორწინების ინსტიტუტის არსი და სპეციფიკა აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით

აშშ-ში ქორწინების შესახებ კანონმდებლობას ადგენს თითოეული შტატი. მიუხედაავდ იმისა, რომ ფედერალური კანონმდებლობა არ არეგულირებს შტატების საქორწინო სამართალს, ის აწესრიგებს დაქორწინებული პირების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც განსხვავდება დაუქორწინებელი წყვილების უფლება-მოვალეობებისაგან.[150]

აშშ-ში პირების საქორწინო-საოჯახო სტატუსი და მასთან დაკავშირებული თავისებურებები რეგულირდება იმ შტატის კანონმდებლობით, რომლის ინტერესებსაც სერიოზული ზიანი მიადგება იმ შემთხვევაში, თუ მისი სამართალი არ იქნება გამოყენებული კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად. ეს შტატი განისაზღვრება თითოეული შტატის კავშირის შეფასებით დავასთან, მხარეებთან, პირთან, რომლის სტატუსიც განიხილება. ასევე მხედველობაში მიიღება ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებების - ბავშვების, არასრულწლოვანების და სხვა პირების, რომლებიც დაცვას საჭიროებენ დაცვის ვალდებულების, ოჯახის ღირებულებების და სტაბილურობის ნამდვილობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება.[151]

ამჟამად აშშ-ში ქორწინება დასაშვებია როგორც ქალსა და მამაკაცს, ისე ერთი და იმავე სქესის პირებს შორის. ისტორიულად, იმისათვის რომ ერთსქესიანთა ქორწინების აღიარება არ გამხდარიყო სავალდებულო, კონგრესმა მიიღო ქორწინების დაცვის შესახებ აქტი (DOMA), რომელიც პირდაპირ განსაზღვრავდა, რომ ფედერალური კანონმდებლობის მიზნებისათვის, ქორწინება ნიშნავს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირს. DOMA-ს მიხედვით შტატები უფლებამოსილი იყვნენ არ ეცნოთ ქორწინების

---

[150] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

[151] ლუიზიანას შტატის სამოქალაქო კოდექსის 3519-ე მუხლი

გარდა სხვა კავშირები, თუმცა არ ჰქონდათ ცნობაზე უარის თქმის ვალდებულება.[152]

2013 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო DOMA-ს მე-3 თავი. 2004 წელს მასაჩუსეტსი იყო პირველი შტატი, რომელმაც დაიწყო ქორწინების მოწმობების გაცემა ერთი და იმავე სქესის პირებზე.[153] მასაჩუსეტსში უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ შტატის კანონმდებლობა რომელიც იძლეოდა მხოლოდ განსხვავებული სქესის პირების ქორწინების უფლებას, იყო არაკონსტიტუციური.[154] ამის საპასუხოდ ბევრმა შტატმა მიიღო კანონები, რომლითაც განისაზღვრა, რომ ქორწინება დასაშვებია ერთ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის.[155] ვერმონტში კანონმდებელმა შემოიღო სამოქალაქო კავშირის ინსტიტუტი ერთსქესიანი წყვილებისათვის. ასეთი კავშირი უზრუნველყოფდა ისეთივე უფლებებს, როგორიც მეუღლეებს აქვთ. კალიფორნიაში, სან ფრანცისკოში ერთი და იმავე სქესის ადამიანებს მისცეს დაქორწინების უფლება, თუმცა შტატის უზენაესმა სასამართლომ ეს ქორწინებები ბათილად ცნო.[156] 2012 წლისათვის 31 შტატის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების თავიდან ასარიდებლად, ხოლო ექვს შტატში ეს ინსტიტუტი ლეგალიზებული იქნა. 2012-დან 2015 წლამდე პერიოდში კიდევ ოცდაათმა შტატმა დაუშვა ერთსქესიანი წყვილების ქორწინება. 2015 წლის 26 ივნისს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების აკრძალვები ყველა შტატში.[157]

---

[152] Gerard-René de, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, Electronic Journal of Comparative Law, vol. 11.3, December 2007, 29

[153] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

[154] Gerard-René de, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, Electronic Journal of Comparative Law, vol. 11.3, December 2007, 3-4

[155] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

[156] Gerard-René de, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, Electronic Journal of Comparative Law, vol. 11.3, December 2007, 3-4

[157] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

6.2. ქორწინების პირობები და ფორმა აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით

აშშ-ში ქორწინების მთავარი წინაპირობა არის დასაქორწინებელ პირთა აშკარად გამოხატული თანხმობა. აშშ-ს კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულია პრინციპი: „თანხმობის გარეშე ქორწინება არ არსებობს“.[158]

ქორწინების ასაკი აშშ-ში განისაზღვრება თითოეული შტატის მიერ კანონის ან საერთო სამართლის საფუძველზე. პირს შეუძლია დაქორწიდეს მშობლების თანხმობის გარეშე 18 წლის ასაკიდან ყველა შტატში ნებრასკას გარდა, სადაც ძირითადი საქორწინო ასაკი 19 წელია და მისისიპის გარდა, სადაც ძირითადი საქორწინო ასაკი 21 წელია. შტატების უმეტესობა ასევე ადგენს უფრო ნაკლებ ასაკს, რომლის მიღწევისასაც დასაშვებია ქორწინება მშობლების ან სასამართლოს თანხმობით. ასევე მხედველობაში მიიღება ორსულობა ან ამ ფაქტორების ერთობლიობა. შტატების უმეტესობა 16 ან 17 წლის მიღწეულ პირებს აძლევს ქორწინების უფლებას მხოლოდ მშობლების თანხმობით. ოცდაათი შტატის კანონმდებლობით განსაზღვრულია მინიმალური ასაკი, რომელიც მერყეობს 13-დან 18 წლამდე მაშინ, როდესაც ოცი შტატის სამართლით არ არის დადგენილი ქორწინების მინიმალური ასაკი თუ ქორწინების სხვა პირობები დაკმაყოფილებულია. შტატებში, რომლებშიც არ არის განსაზღვრული ქორწინების მინიმალური ასაკი, საერთო სამართლის შესაბამისად, ეს ასაკი ვაჟებისთვის შეადგენს 14 წელს, ხოლო გოგონებისთვის - 12 წელს.[159]

აშშ-ს ბევრ შტატში სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს როგორც უფლებამოს ორგანოში რეგისტრირებული, ასევე საეკლესიო ქორწინებები.[160]

---

[158] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 206

[159] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

[160] Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ, 212

ხოლო ცალკეულ შტატებში - მხოლოდ რელიგიური ქორწინება. [161] არსებობს შტატის მიერ ქორწინების ცნობის ორი გზა: საერთო სამართლის მიხედვით ქორწინება და ქორწინების მოწმობის მოპოვება. შტატების უმეტესობაში საერთო სამართლის მიხდვით ქორწინება არაა ნებადართული. რვა შტატი და კოლუმბიის ოლქი აღიარებს საერთო სამართლის ქორწინებებს. ეს შტატებია: კოლორადო, აიოვა, კანზასი, მონტანა, როუდ აილენდი, სამხრეთ კალიფორნია, ტექსასი, იუტა. საერთო სამართლით ქორწინება შესაძლოა აღიარებული იქნას ასევე სამხედრო სამართლით. ყველა შტატი ცნობს საერთო სამართლით ქორწინებას, რომელიც ნამდვილია ქორწინების ადგილის სამართლის შესაბამისად. თუმცა რეგისტრაციის არარსებობამ შესაძლოა მეუღლეებს ან მათ მემკვიდრეებს შეუქმნას პრობლემები იმ ფაქტის დამტკიცებაში, რომ მათი ურთიერთობა ქორწინებაა.[162]

აშშ-ს ზოგიერთ შტატში (ტექსასი) დასაშვებია რწმუნებულების საშუალებით ქორწინება.[163]

ლუიზიანას, ილინოისისა და იუტას შტატებში ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს დაავადებათა სპეციალურ რეესტრში შეტანილი ისეთი დაავადებების ქონა, როგორიცაა ჰეპატიტი, სექსუალური დარღვევები, უნაყოფობა.[164]

2019 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით რვა შტატი მოითხოვდა დასაქორწინებელი პირებისაგან მათი რასობრივი კუთვნილების განცხადებას, რის გარეშეც მათ არ ჰქონდათ დაქორწინების უფლება. ეს შტატებია: კონექტიკუტი, დელავერი, კენტუკი, ლუიზიანა, მინესოტა, ვირჯინია, ნიუ ჰემფშირი და ალაბამა.[165]

პოლიგამია აკრძალულია ორმოცდაათივე შტატის და კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობით. აშშ არ ცნობს პოლიგამიურ ქორწინებებს საიმიგრაციო

---

[161] იქვე, 213

[162] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

[163] Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015, 43

[164] იქვე, 49

[165] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021

მიზნებისათვის მაშინაც კი, როდესაც ასეთი ქორწინება დაშვებულია იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ის შედგა.[166]

აშშ მკაცრად ეკიდება თაღლითური ქორწინების საკითხს. შესაძლოა მოთხოვნილი იქნეს დასაქორწინებელ პირთა ნამდვილი ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. უცხოელზე ფულის სანაცვლოდ დაქორწინება უკანონოა და დამრღვევ პირს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ორივე სანქცია.[167]

6.3. უცხოური ელემენტი ქორწინებაში აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით

ქორწინების მატერიალური ნამდვილობის თვალსაზრისით აშშ-ში გამოსაყენებელ სამართლად მიიჩნევა lex loci celebrationis.[168]

აშშ ცნობს უცხოეთში განხორციელებულ ყველა ქორწინებას თუ ის რეგისტრირებულია ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების მიერ.[169] მათ შორის, ქორწინების ცნობა საიმიგრაციო მიზნებისათვის ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ქორწინების მოწმობა. აშშ არ ცნობს პოლიგამიურ ქორწინებას, საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთა ქორწინებას, სამოქალაქო კავშირებს და პარტნიორობას ან მსგავს ურთიერთობებს, რომლებიც არ არის აღიარებული ქორწინებად შესაბამის სახელმწიფოში; ასევე წარმომადგენლის საშუალებით ქორწინებას; ურთიერთობას, რომელიც მხოლოდ საიმიგრაციო მიზნებისთვისაა წამოწყებული.[170]

ტრადიციულად აშშ-ში ერთ შტატში რეგისტრირებული ქორწინების სხვა შტატში ცნობა ხდებოდა პოლიგამიის და ინცესტის საწინააღმდეგო საჯარო წესრიგის გათვალისწინებით. ქორწინების შესახებ ერთიანი აქტის თანახმად

[166] https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States ნანახია 07/02/2021
[167] https://www.boundless.com/immigration-resources/marry-non-u-s-citizen/ ნანახია 05/02/2021
[168] Usha Tandon, Validity of Marriage under International Private Law with Special Reference to 1978 Hague Marriage Convention: Towards Harmonization and Unification of the Rules of International Private Law Relating to Marriage, I JCLC (2013) 32-47, 6
[169] https://www.boundless.com/immigration-resources/marry-non-u-s-citizen/ ნანახია 05/02/2021
[170] https://www.boundless.com/immigration-resources/marry-non-u-s-citizen/ ნანახია 05/02/2021

აკრძალულია ადგილობრივ რეზიდენტებს შორის შტატის გარეთ განხორციელებული ქორწინების აღიარება ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვებისა და დამაბრკოლებელი გარემოებების გვერდის ავლის თავიდან ასარიდებლად.[171]

აშშ-ში უცხო ქვეყნის სამართლისა და გადაწყვეტილებების აღიარება დამოკიდებულია თითოეული შტატის სამართალზე. აშშ-ს უზენაესი სასამართლო ამგვარ აღიარებას მიიჩნევდა გარკვეულწილად თავაზიანობის აქტად და მოითხოვდა ნაცვალგებას. ამჟამად ნაცვალგების პრინციპი უკუგდებულია შტატების უმრავლესობის მიერ. ისინი ცნობენ უცხო ქვეყნების გადაწყვეტილებებს იმავე პირობებზე დაყრდნობით, როგორც სხვა შტატის გადაწყვეტილებებს.[172]

მასაჩუსეტსის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაქორწინების შესაძლებლობა განისაზღვრება lex fori-თ და მხარეების ქვეყნის სამართლით, თუ მხარეები არარეზიდენტები არიან. თუ მხარეთა ქვეყნის სამართალი კრძალავს ქორწინებას, ეს არის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება მასაჩუსეტსში. ეს წესი ვრცელდება ყველა დამაბრკოლებელ გარემოებაზე - ასაკზე, ნათესაობის ხარისხზე, სქესზე.[173]

მასაჩუსეტსი არ უშვებს შტატის არარეზიდენტ პირებს მასაჩუსეტში ქორწინებისათვის, თუ მხარეების ქვეყნის სამართალი არ ცნობს ასეთ ქორწინებას.[174]

---

[171] Gerard-René de, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, Electronic Journal of Comparative Law, vol. 11.3, December 2007, 15

[172] იქვე, 30

[173] იქვე, 15

[174] იქვე

7. ქორწინების ინსტიტუტი ევროკავშირისა და საერთაშორისო კონვენციებში

როგორც აღინიშნა, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები ყველა ქვეყანაში უშუალოდ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად განსხვავდება ერთმანეთისაგან,[175] რაც ქორწინებასთნ დაკავშირებული კოლიზიური საკითხების გადაწყვეტას მნიშვნელოვნად ართულებს. ამიტომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების რეგულირებისათვის მიღებულია არაერთი საერთაშორისო კონვენცია. უცხოეთის მოქალაქესთან ქორწინების სამართლებრივი რეგულირების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ამ საერთაშორისო აქტებში მოცემული მოწესრიგების ანალიზი.

7.1. ქორწინება ევროპის კანონმდებლობაში

საქორწინო ურთიერთობების სფეროში შეიძლება გამოიყოს შემდეგი საერთაშორისოსამართლებრივი აქტები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1962 წლის კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, საქორწინო ასაკის და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ; ჰააგის 1978 წლის კონვენცია ქორწინების წესისა და ქორწინების ნამდვილობის აღიარების შესახებ; ჰააგის 1970 წლის კონვენცია განქორწინებისა და მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე; ჰააგის 1978 წლის კონვენცია მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ; საქორწინო კავშირების შესახებ გადაწყვეტილებათა ცნობის შესახებ კონვენცია (ლუქსემბურგი, 1967 წლის 8 სექტემბერი).[176]

გაეროს 1962 წლის ქორწინებაზე თანხმობის, საქორწინო ასაკის და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ კონვენციით განმტკიცებულია დაქორწინების ძირითადი პრინციპები: დაუშვებელია ქორწინება ორივე მხარის

[175] გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, 2001,313
[176] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 37-38

სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, რომელიც მათ პირადად უნდა გამოხატონ კანონით დადგენილი წესით ქორწინების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირის წინაშე მოწმეთა თანდასწრებით (მუხლი 1). მინიმალური საქორწინო ასაკი წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაა. გაეროს 1965 წლის ქორწინებაზე თანხმობის, საქორწინო ასაკის და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ საქორწინო ასაკი ორივე მხარისათვის 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.[177]

ქორწინების წესისა და ქორწინების ნამდვილობის ცნობის შესახებ 1978 წლის 14 მარტის კონვენცია ძალაში შევიდა 1991 წლის 1 მაისს. კონვენციას ხელი მოაწერეს ავსტრალიამ, ეგვიპტემ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, პორტუგალიამ, ფინეთმა. ამასთან, მხოლოდ ავსტრალიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა განახორციელეს მისი რატიფიკაციის პროცედურები. კონვენციის პირველი თავი აწესრიგებს ქორწინების პირობებს. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად ქორწინება შესაძლებელია, როდესაც მომავალი მეუღლეები აკმაყოფილებენ იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელშიც უნდა შედგეს ქორწინება და ერთ-ერთი მათგანი ამ ქვეყნის მოქალაქეა, ან ცხოვრობს ამ სახელმწიფოში ან როდესაც თითოეული მომავალი მეუღლე აკმაყოფილებს ქორწინების ქვეყნის კოლიზიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.[178]

ქორწინების ცნობასთან დაკავშირებით კონვენცია შეიცავს შემდეგ რეგულირებას: ქორწინება, რომელიც შეესაბამება ან შემდგომში გახდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი, რომელშიც დაქორწინება მოხდა, ცნობილი უნდა იქნას ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ. ანალოგიური წესი ვრცელდება დიპლომატიური წარმომადგენლის ან კონსულის მიერ შესრულებულ ქორწინებაზე იმ პირობით, რომ ასეთი ქორწინება არ არის აკრძალული იმ სახელმწიფოში, რომელშიც ის შედგა (მუხლი 9).[179]

---

[177] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 37-38
[178] იქვე, 41
[179] იქვე

ხელშემკვრელ სახელმწიფოს ქორწინების ცნობაზე უარი შეუძლია თქვას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც: ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი უკვე იმყოფება ქორწინებაში; მეუღლეები სისხლით ან შვილების შედეგად პირდაპირი ხაზით ნათესავები ან და-ძმა არიან; ერთ-ერთ მეუღლეს არ მიუღწევია საქორწინო ასაკისათვის ან არ მიუღია შესაბამისი ნებართვა;[180] ერთ-ერთ მეუღლეს არ გააჩნია ქორწინებაზე თანხმობის გაცემის ინტელექტუალური უნარი; ერთ-ერთმა მეუღლემ ქორწინებაზე თანხმობა ნებაყოფლობით არ განაცხადა. ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ქორწინების ცნობაზე, როდესაც ცნობა მის საჯარო წესრიგს აშკარად ეწინააღმდეგება (მუხლი 14). [181]

თუ სახელმწიფოში არის ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც მოქმედებს ქორწინებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა: ქორწინების ცნობასთან დაკავშირებით ამ სახელმწიფოს სამართალზე ნებისმიერი მითითება განიმარტება, როგორც მითითება იმ ტერიტორიული ერთეულის სამართალზე, რომელშიც ქორწინების ცნობაა მოთხოვნილი; კონვენციის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული ერთ ტერიტორიულ ერთეულში იმ ქორწინების ცნობისათვის, რომელიც შედგა მეორე ტერიტორიულ ერთეულში.[182]

თუ სახელმწიფოს ქორწინებასთან დაკავშირებით აქვს ერთი ან რამდენიმე სამართლის სისტემა, რომელიც გამოიყენება პირთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ, ამ სახელმწიფოს სამართალზე ნებისმიერი მითითება განიმარტება, როგორც მითითება იმ სამართლებრივ სისტემაზე, რომელზეც ამ ქვეყანაში მოქმედი წესები მიუთითებს.[183]

ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა შესახ ქარტიის მე-9 მუხლით გარატირებულია დაქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, ასევე ადამიანის

[180] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 41
[181] იქვე, 42
[182] იქვე
[183] იქვე

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი იცავს ქორწინების უფლებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას. ამ მუხლის მოქმედების სფერო მოიცავს ოჯახის ცნებას, ქორწინებაზე ან ფაქტობრივ თანაცხოვრებაზე დამყარებულ საოჯახო ურთიერთობებს, ქორწინებაში დაბადებული ბავშვის მამობის პრეზუმფციას, ერთი და იმავე სქესის პირების ურთიერთობის საოჯახო ურთიერთობად მოაზრებას, ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სტატუსს, ბავშვებზე ზრუნვასთან დაკავშირებით მშობლებს შორის კონფლიქტის საკითხებს, შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობას მშობლების განქორწინების ან ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, ბებიებსა და პაპებს და შვილიშვილებს შორის ურთიერთობებს, მშობლებისა და შვილების განცალკევებას მშობლების დეპორტაციის გამო, მშობლის უფლების ცნობას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, ბავშვის სახელმწიფოს მზრუნველობაში გადაცემას და ა.შ.[184]

კონვენციის მოქმედების მთელი დროის მანძილზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავითარებდა ოჯახური ცხოვრების ცნებას საოჯახო ურთიერთობების სოციალური და კულტურული მოდელის ცვლილების შესაბამისად.[185]

ევროსასამართლოს პრაქტიკაში ოჯახურ ცხოვრებად მოიაზრება ერთი და იმავე სქესის ადამიანების თანაცხოვრებაც.[186]

საქმეში „შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ახალი პტაქტიკა გაავრცელა რა „ოჯახური ცხოვრების“ ცნება ერთი და იმავე სქესის წყვილებზე.[187] ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია იმ მოსაზრების

[184] Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 25-26
[185] იქვე
[186] იქვე
[187] იქვე, 48-49

მხარდაჭრა, რომლის თანახმადაც სხვადასხვა სქესის მქონე წყვილისაგან განხვავებით ერთი და იმავე სქესის პირთა ურთიერთობა არ შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. შესაბამისად, ერთი და იმავე სქესის მქონე განმცხადებელთა ხანგრძლივი და სტაბილური ურთიერთობა ისევე მოიაზრება ოჯახურ ცხოვრებად, როგორც სხვადასხვა სქესის პირთა კავშირი. უფრო მეტიც, მიიღო რა მხედველობაში ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა შესახებ ქარტიის მე-9 მუხლი, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-12 მუხლში რეგლამენტირებულ ქორწინების უფლებას აღარ განიხილავდა ყველა შემთხვევაში საპირისპირო სქესის მქონე პირთა ქორწინებად.[188]

სქესის შეცვლის საკითხის რეგულირება ქორწინების კონტექსტში დიდწილად ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიხედულებაზეა დამოკიდებული. ამჟამად არ არსებობს კონსენსუსი არსებულ ქორწინებაში პარტნიორის სქესის აღიარების საკითხთან დაკავშირებით.[189] კონსესუსის არ არსებობის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება დელიკატურ მორალურ და ეთიკურ საკითხებს, ევროპის კავშირის ორგანოები წევრ სახელმწიფოებს აძლევს მიხედულების ფართო ზღვარს როგორც იმ ტრანსგენდერი პირების სქესის აღიარებსათან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღებაში, რომლებმაც სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთეს, ასევე საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის მიღწევის წესების შემუშავებაში.[190]

ოჯახების გაერთიანება არის ევროკავშირში მიგრაციის გაბატონებული ფორმა. ევროპის კავშირმა ოჯახის გაერთიანების უფლება განამტკიცა ოჯახის გაერთიანების შესახებ დირექტივასა (2003/86/ec) და კავშირის მოქალაქეების შესახებ დირექტივაში (2004/38/ec).[191] თუმცა წევრი ქვეყნები აწყდებიან წინააღმდეგობას ამ უფლებასა და მათ მისწრაფებას შორის დაარეგულირონ

---

[188] E, B, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016, 48

[189] იქვე, 48

[190] იქვე, 52-53

[191] Betty de Hart, The Europeanization of Love. The Marriage of Convenience in European Migration Law, Volume 19: Issue 3, Sepseptember 28, 2017, 4-6

მიგრაციის საკითხები.[192] ამ საკითხმა ბოლო ათწლეულში გამოიწვია ყურადღების გამახვილება „თაღლითურ“ ოჯახურ ურთიერთობებზე. ეს ყურადღება ძირითადად გამახვილებულია „თაღლითურ“ ქორწინებებზე - რომლებიც ასევე ცნობილია, როგორც „ცრუ“ ქორწინებები, „ყალბი“ ქორწინებები ან „ხელსაყრელი“ ქორწინებები“ და იშვიათ შემთხვევაში მშობლის უფლების ყალბ აღიარებაზე.[193] „ხელსაყრელი“ ქორწინება არის ქორწინება, რომლის ერთადერთი მიზანი არის თავისუფალი გადაადგილების ან ბინადრობის უფლების მოპოვება.[194] ოჯახის გაერთიანების შესახებ დირექტივაც და კავშირის მოქალაქეობის შესახებ დირექტივაც იძლევა „ხელსაყრელი“ ქორწინებების, ისევე როგორც სხვა თაღლითური საოჯახო ურთიერთობების გადამოწმების უფლებას. ევროპის კომისიის გაიდლაინები ამ დირექტივებთან დაკავშირებით შეიცავს მითითებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს შემოწმებები. დამატებით, ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო იმავე მიზნით.[195]

ევროკავშირის მოქალაქეთა შესახებ დირექტივის 35-ე მუხლი შეიცავს პროპორციულობისა და პროცედურული უსაფრთხოების პრინციპებს „ხელსაყრელი ქორწინებების“ საფუძველზე საცხოვრებელი ადგილის მიცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ოჯახის გაერთიანების დირექტივის მე-17 და მე-18 მუხლების ძირითადი დებულებები მოიცავს ინდივიდუალური მიდგომისა და პროცედურული უსაფრთხოების საკითხებს.

[192] Betty de Hart, The Europeanization of Love. The Marriage of Convenience in European Migration Law, Volume 19: Issue 3, Sepseptember 28, 2017, 4-6
[193] იქვე
[194] იქვე, 12
[195] იქვე

დასკვნა

ქორწინების მარეგულირებელი ნორმები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ართულებს კოლიზიური საკითხების გადაწყვეტას და ზრდის საერთაშორისო კერძო სამართლის როლს. ამავდროულად, როგორც აღინიშნა, საერთაშორისო საოჯახო-სამართლებრივი ნორმების უნიფიკაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქართველოში უცხოელების ქორწინების რეგისტრაციისა და შერეული ქორწინებების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, პრაქტიკაში საერთშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის გამოყენება იშვიათად ხდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. „კოჭლი“ ურთიერთობების წარმოშობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი ნათელ, ამომწურავ და არაორაზროვან რეგულაციებს შეიცავდეს. ამასთან, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი ბუნდოვანია. მითითებულ ნორმაში კანონმდებლის სავარაუდო მიზანი ქორწინების ფორმასთან დაკავშირებით იყო შემდეგი: ა) თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა და ქორწინება საქართველოში ფორმდება, დაქორწინება უნდა მოხდეს საქართველოს სამართლით განსაზღვრული ფორმის დაცვით; ბ) თუ დაქორწინება ხდება უცხო ქვეყანაში, მაშინ დაქორწინება წარმოებს ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, თუნდაც ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქე იყოს; გ) თუ დასაქორწინებელი პირები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ქვეყნის სამართლის მიხედვით. 44-ე მუხლის მესამე პუნქტის მეორე წინადადება - „თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება“ შეიძლება განმარტებული იქნეს იმგვარად, რომ უცხოეთის მოქალაქის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს უცხო ქვეყნის

კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმა, ხოლო საქართველოს მოქალაქის მიმართ, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული, რაც ბუნდოვანია. ნაშრომში შემოთავაზებლია აღნიშნული ნორმის იმგვარად ფორმულირების მიზანშეწონილება, რომ დასაქორწინებელ პირებს საქართველოში დაქორწინებისას ქორწინების ფორმის არჩევის შესაძლებლობა ჰქოდეთ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მათგანი არ არის საქართველოს მოქალაქე. ასეთი რეგულირება თავიდან აგვარიდებს ნორმის შესაძლო არასწორ განმარტებას.

ნაშრომში წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ მუდმივად იცვლება საოჯახო ურთიერთიერთობების სოციალური და კულტურული მოდელი. ის რაც, სულ რამდენიმე წლის წინ მიუღებლად მიიჩნეოდა, ამჟამად მისაღები ხდება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში შეიმჩნევა ერთსქესიანი წყვილების ქორწინების დაშვების ტენდენცია, საქართველოში კონსტიტუციის დონეზე გამტკიცდა ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი. ეს ცვლილება აუარესებს ჰომოსექსუალ წყვილთა უფლებრივ მდგომარეობას. მათი უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ერ-ერთ გზად ნაშრომში შემოთავაზებულია რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც საკმაოდ წარმატებით მუშაობს გერმანიასა და აშშ-ში. ამ მოდელით მოწესრიგდება ერთი და იმავე სქესის წყვილების საოჯახო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობები. შედეგად, ასეთი პირები არ აღმოჩნდებიან სამართლებრივი რეგულირების მიღმა და მათი უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

გამოყენებული ლიტერატურა

კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მთარგმნელი: ჭეჭელაშვილი ზ., მეორე გამოცემა, 2019

ქართული

შენგელია რ., ახვლედიანი ზ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-5, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000

გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001

ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2001

შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015

ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სტატიები

ფიქტიური ქორწინება ქართველებთან – ევროპაში მოხვედრის მარტივი გზა?, ხელმისაწვდომია,https://georgians.gr/fiqtiuri-qorwineba-qartvelebtan/ [11/04/2017]

ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟ. მართლმსაჯულება, 2007, 2, გვ. 90-104

მსხვილიძე თ., უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის ძირითადი ასპექტები საერთაშორისოკერძო სამართალში , ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, N 4 (60), 2018, გვ. 140-147

ინგლისური

Gerard-René de Groot, Private International Law Aspects Relating to Homosexual Couples, vol. 11.3 ELECTRONIC JOURNAL OF COMPARATIVE LAW, December, 2007, p. 1-37

Usha Tandon,Validity of Marriage under International Private Law with Special Reference to 1978 Hague Marriage Convention: Towards Harmonization and Unification of the Rules of International Private Law Relating to Marriage, I JCLC (2013) 32-47 ISSN: 2321-4716, September 23, 2013 https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2821514 [12/02/2021]

Betty de Hart, The Europeanization of Love. The Marriage of Convenience in European Migration Law, Volume 19: Issue 3, Sepseptember 28, 2017, p. 281–306

რუსული

Е, А, Криволапова. диссертация, Правовое регулирование брака с участием иностранного элемента, Москва: РГВ, 2007

Н. С. Анцух, СРАВНИТЕЛЬНОЕ И МЕЖДУНАРОДНОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МИНСК ИЗДАТЕЛЬСТВО «ЧЕТЫРЕ ЧЕТВЕРТИ», 2015

Е, В, Ерохина ЕВРОПЕЙСКОЕ СЕМЕЙНОЕ ПРАВО, Оренбург – 2016

Н. С. Байбороша ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЗАКЛЮЧЕНИЯ БРАКА В МЕЖДУНАРОДНОМ СЕМЕЙНОМ ПРАВЕ: ПРОБЛЕМЫ И РЕАЛИИ

ვებ-გვერდის მისამართები

http://lawlibrary.info/ge/

http://www.matsne.gov.ge/

https://georgians.gr/fiqtiuri-qorwineba-qartvelebtan/

https://en.wikipedia.org/wiki/Marriage_in_the_United_States

https://doi.org/10.1163/15718166-12340010

http://ssrn.com/abstract=2821514

https://www.thespruce.com/get-married-united-states-not-citizens-2303284

http://www.ejcl.org/113/article113-12.pdf

http://www.pratomigranti.it/en/vivere/famiglia/matrimonio/no-eu/pagina106.html

https://meduza.io/cards/v-moskve-priznali-brak-mezhdu-dvumya-muzhchinami-takoe-vozmozhno

https://www.boundless.com/immigration-resources/marry-non-u-s-citizen/

https://www.auswaertiges-amt.de/en